

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



მარიამ გამგებელი

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საკითხები სს „თელიანი
ველი“-ს მაგალითზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნანა სრესელი
ოსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანალიზს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყოველი საწარმოს მართვის პროცესში. ფინანსური ანალიზის მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაციის შექმნა, რომელიც ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის, მომგებიანობის, ფინანსური სტაბილურობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის საფუძველზე ყალიბდება. ასევე, საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და ცალკეული ფაქტორების შედეგებზე გავლენის შესაფასებლად საჭიროა შესაბამისი ფინანსური კოეფიციენტების გამოყენება.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება და მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა წარმოადგენს. ფინანსური ანალიზის შედეგები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნები საწარმოს ფინანსური სტაბილურობის შესახებ.

ნაშრომი შედგება ორი თავისაგან. პირველ თავში განხილულია ფინანსური ანალიზის მიზნები და სტრატეგიები, ასევე მეთოდოლოგიის საკითხები. მეორე თავში განხილულია ფინანსური ანალიზის ძირითადი მაჩვენებლები, მათ საფუძველზე ჩატარებულია სააქციო საზოგადოება „თელიანი ველი“-ს ფინანსური ანგარიშგების ანალიზი და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. დასკვნით ნაწილში აღწერილია სააქციო საზოგადოება „თელიანი ველი“-ს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცესში მიღებული შედეგები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

Anotation

Issues of the financial condition analysis on the example of JSC "Teliani Valley"

Mariam Gamgebeli

Financial condition analysis plays an important role in the management process of any enterprise. The purpose of financial analysis is to create the information needed to make a decision based on the study of liquidity, solvency, profitability, financial stability, and other important issues. Appropriate financial ratios need to be used to assess the impact on the enterprise's economic situation, cause-and-effect relationships, and individual factors.

The aim of the master's thesis is to assess the financial condition of the enterprise and to identify the factors affecting it. The results of the financial analysis allow us to draw conclusions about the financial stability of the enterprise.

The paper consists of two chapters. The first chapter discusses the objectives and strategies of financial analysis, as well as methodological issues. The second chapter discusses the main indicators of financial analysis, based on them, the analysis of the financial statements of the joint stock company "Teliani Valley" and the relevant conclusions are made. In the final part, the results obtained in the process of analyzing the financial statements of the joint stock company "Teliani Valley" are described and relevant recommendations are issued.

შინაარსი

შესავალი	1
თავი 1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის ძირითადი საკითხები	3
1.1 ფინანსური ანალიზი, როგორც კომპანიის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების ინსტრუმენტი	3
1.2 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდოლოგია	8
თავი 2. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი ასპექტები	13
2.1. საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი	13
2.2 ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების ანალიზი	19
2.3 ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა ანალიზი	29
2.4 მომგებიანობის, საინვესტიციო და საქმიანი აქტივობის მაჩვენებელთა ანალიზი	40
დასკვნა	57
გამოყენებული ლიტერატურა	60
დანართი	62

შესავალი

თემის აქტუალობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში თანამედროვე ფორმების გამოყენება სამეურნეო პროცესების მართვასა და რეგულირებაში, საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და უზრუნველყოფისკენ არის მიმართული. ფინანსური ანალიზის ჩატარების შემდეგ მიღებული ინფორმაცია საყურადღებოა, როგორც მენეჯერებისთვის გადაწყვეტილების მიღების დროს, ასევე გარე მომხმარებლებისთვის, რათა სწორად შეაფასონ საწარმოს ფინანსური პოზიციები და მოსალოდნელი რისკები.

საწარმოთა განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და სათანადო მმართველობითი გადაწყვეტილებების საფუძველს სწორედ საწარმოს ფინანსური ანალიზი წარმოადგენს. შედეგად შესაძლებელი ხდება საწარმოს მოსალოდნელი რისკების პროგნოზირება და სტაბილურობის შენარჩუნება. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი წარმოადგენს ისეთი ეკონომიკური გადაწყვეტილებების საფუძველს, რომელიც ეყრდნობა საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობს, ფინანსური სტაბილურობის, საქმიანი აქტიურობის, მომგებიანობისა და სხვა მაჩვენებელთა შეფასებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არჩეულია საკვლევი თემის აქტუალობა.

მიზნები. სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების შესწავლა და სრულყოფის მიმართულებების შემუშავება სს „თელიანი ველი“-ს მაგალითზე.

ამოცანები. დასახული მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანას წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისთვის საჭირო კოეფიციენტების გაანალიზება და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ სტაბილურობაზე.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, კერძოდ: საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის,

ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის, ფინანსური სტაბილურობის, მომგებიანობის, საინვესტიციო და საქმიანი აქტივობის მაჩვენებლების ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა შესაბამისი მასალის საფუძველზე.

საკვლევ ობიექტად შეირჩა ღვინის მწარმოებელი ქართული კომპანია სს „თელიანი ველი“, რომელიც დაარსდა 1997 წელს „თელიანის სამარკო ღვინოების მარნის“ ბაზაზე, თელიანის ვენახების მახლობლად, წინანდალში.

კვლევის მეთოდი. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველებს ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის ხერხები წარმოადგენს, ფინანსური ანგარიშგების დინამიკური ანალიზი, ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, შედარებითი ანალიზი და სხვა.

მოცემული შრომის განსხვავება წინა კვლევებისგან. კვლევისას გამოყენებულია ფინანსური ანალიზისათვის საჭირო თანამედროვე მეთოდოლოგია. საერთაშორისო პრაქტიკის მასალების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე ჩატარებულია სს „თელიანი ველი“-ს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების ანალიზი და შემოთავაზებულია მაგისტრანტის მოსაზრებები ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებების შესახებ.

საინფორმაციო რესურსი და მატერიალურ ტექნიკური ბაზე. კვლევის პროცესში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები ფინანსური ანალიზის, ეკონომიკური ანალიზის, ფინანსური მენეჯმენტის საკითხებისადმი მიძღვნილი შრომები, ასევე ნორმატიული და საკანონმდებლო აქტები, ონლაინ განთავსებული ინფორმაციები და სხვა.

თავი 1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის ძირითადი საკითხები

1.1 ფინანსური ანალიზი, როგორც კომპანიის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების ინსტრუმენტი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში იმისათვის, რომ საწარმომ შეუფერხებლად შეძლოს თავისი საქმიანობის განხორციელება აუცილებელია, როგორც საკუთარი ასევე მისი კონკურენტების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ფლობა. ნებისმიერი სახის ბიზნესის წინაშე დგება კითხვა თუ როგორ იქნას უზრუნველყოფილი საწარმოს მყარი ფინანსური მდგომარეობა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საწარმოები აყალიბებენ სტრატეგიულ მიზნებს და განსაზღვრავენ აქტივების საჭირო რაოდენობას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საწარმოს ფინანსური მდგრადობა. აღნიშნული საკითხების ფორმულირებასა და გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ფინანსურ ანალიზს. მისი მიზანს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მომგებიანობის ამაღლების შესაძლებლობების გამოვლენა.

ფინანსური მდგომარეობა გულისხმობს საწარმოს უნარს, დააფინანსოს თავისი საქმიანობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციის ფინანსურ დამოუკიდებლობას გარე სასესხო წყაროებიდან. საწარმოში არსებული ეკონომიკური რესურსები, მათი სტრუქტურა, ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ძირითადი განმსზღვრელი ფაქტორებია. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ასახულია ბუღალტრულ ბალანსში. აქედან გამომდინარე ფინანსური მდგომარეობის შეფასება ბუღალტრული ბალანსის ელემენტების საფუძველზე ხდება.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ამოცანას წარმოადგენს საწარმოს დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასება დაფინანსების სასესხო წყაროებთან მიმართებაში. იგი ბიზნესის ანალიზის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია. ბიზნესის ანალიზის მიზანია ორგანიზაციის გადაწყვეტილებების გაუმჯობესება მისი

ფინანსური მდგომარეობის, გეგმების, სტრატეგიებისა და ბიზნეს გარემოს შესახებ არსებული ინფორმაციის შეფასების გზით. ბიზნესის ანალიზი კომპანიას ეხმარება ბიზნეს გარემოს შეფასებაში და აწვდის ინფორმაციას მისი ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შესახებ. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეშვეობით შეგივიძლია დავადგინოთ თუ რამდენად არის ორგანიზაცია ფინანსურად დამოუკიდებელი, როგორ ცვლილებას განიცდის მისი დამოუკიდებლობის ხარისხი და პასუხობს თუ არა საწარმოს აქტივებისა და პასივების მდგომარეობა მისი ფინანსური საქმიანობის ამოცანებს.

ფინანსური სიტუაცია მისი მდგომარეობის ხარისხის მიხედვით შეიძლება დავყოთ ოთხ ტიპად:

- აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა - ყველა ხარჯი და მარაგი იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრების ხარჯზე. იგი წარმოადგენს ფინანსური მდგრადობის უკიდურეს ტიპს და იშვიათად ვხვდებით პრაქტიკაში;
- ფინანსური მდგომარეობის ნორმალური მდგრადობა - მოცემული ტიპი იძლევა ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის გარანტიას. იგი ხასიათდება ორგანიზაციის საქმიანობის მაღალი დონითა და ფინანსური დისციპლინის დაურღვევლობით;
- არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა - ფინანსური მდგრადობის მესამე ტიპი დაკავშირებულია გადახდისუნარიანობის დარღვევასთან, თუმცა შენარჩუნებულია წონასწორობის აღდგენის შესაძლებლობა დამატებითი გრძელვადიანი კრედიტებისა და სასესხო საშუალებების მოზიდვის გზით. ფინანსური არამდგრადობა ჩაითვლება დასაშვებად თუ საწარმოში არსებული მარაგებისა და მზა პროდუქციის რაოდენობა ტოლი ან მეტი იქნება მოკლევადიანი კრედიტებისა და სასესხო თანხების ჯამზე, რომლებიც მონაწილეობენ მარაგების ფორმირებაში;
- კრიზისული ფინანსური მდგომარეობა - ამ დროს ორგანიზაცია იმყოფება გაკოტრების ზღვარზე. საწარმოს ფულადი სახსრები, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანებები ვეღარ ფარავენ ვერც

კრედიტორულ დავალიანებებს და ვერც ვადაგასულ სესხებს. არამდგრადი ფინანსური მდგომარეობიდან გამოსვლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს მარაგების ფორმირების წყაროების შევსება და მათი სტრუქტურის ოპტიმიზაცია, ასევე მარაგების დონის დასაბუთებული შემცირება.

ფინანსური ანალიზი კომპანიებს საშუალებას აძლევს შეაფასონ ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა, განსაზღვრონ კომპანიის ფინანსური შესაძლებლობები და გამოავლინონ გაუმჯობესების გზები. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესში შეისწავლება მიმდინარე წელს მისი საქმიანობის შედეგად მიღებული ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც შემდგომ უდარდება წინა წლების მონაცემებს და გამოიტანება შესაბამისი დასკვნები. თავის მხრივ, ფინანსური ანალიზის ხარისხი დამოკიდებულია ფინანსური ანგარიშგების საიმედოობაზე და ეკონომიკურ შინაარსზე. აქედან გამომდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად უნდა იყოს წარმოდგენილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადები. სამართლიანი წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციების კეთილსინდისიერად ასახვას. ინფორმაცია იმგვარად უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა, შესადარისობა, საიმედოობა და აღქმადობა.

ფინანსური ანალიზი მოიცავს სამ ფართო სფეროს: მომგებიანობის ანალიზს, რისკების ანალიზსა და სახსრების წყაროებისა და გამოყენების ანალიზს. მომგებიანობის ანალიზი არის კომპანიის ინვესტიციების დაბრუნების შეფასება. იგი ფოკუსირებულია კომპანიის მომგებიანობის დონესა და წყაროებზე. მომგებიანობის ანალიზი ასევე ფოკუსირდება მომგებიანობის ცვლილების მიზეზებზე და მოგების მდგრადობაზე. რისკის ანალიზი გულისხმობს კომპანიის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის შეფასებას მისი შემოსავლის ცვალებადობის გათვალისწინებით. კრედიტორები ხშირად ამახვილებენ ყურადღებას რისკის ანალიზზე, რადგან იგი მნიშვნელოვანი ფაქტორია კომპანიის საქმიანობის საიმედოობისა და მდგრადობის შესაფასებლად. ფულადი სახსრების ანალიზი წარმოადგენს იმის შეფასებას თუ, როგორ წარმართავს კომპანია სახსრების მოძიებისა და გადანაწილების პროცესს.

ფინანსური ანალიზი ეკონომიკური ანალიზის დარგია, რომელიც იკვლევს დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების გავლენას საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. სტაბილურობის შესანარჩუნებლად, მომგებიანობის გასაზრდელად და კრიზისული სიტუაციის შესამცირებლად საჭიროა დაისახოს მიზნები და შემუშავდეს ხელსაყრელი სტრატეგიული პროგრამა.

საიმედო ანალიზის საფუძველი მისი მიზნების გააზრებაა. ფინანსური ანალიზის მიზანს საწარმოს მდგომარეობის შეფასება და მისი გაუმჯობესების გზების გამოვლენა წარმოადგენს. ორგანიზაციის მიზნები ობიექტური რეალობით უნდა იქნას განსაზღვრული. აქედან გამომდინარე მან უნდა დაისახოს ისეთი მიზნები რომლებიც არ აღემატება მის შესაძლებლობებს, სხვა შემთხვევაში ორგანიზაცია შეიძლება ძალიან დაზარალდეს ან გაკოტრდეს კიდევ.

ფინანსური ანალიზის მიზნებს საფუძვლად უდევს ანალიტიკოსის ინტერესები. მთავარი ფაქტორია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ობიექტური და სრული სურათის მიღება. საწარმოს ფინანსური ანალიზის მიზანი რისკების შერბილებისაკენ არის მიმართული რაც თავის მხრივ მოითხოვს ფინანსური სტაბილურობისა და მომგებიანობის ამაღლების შესაძლებლობების გამოვლენას.

ფინანსური ანალიზის მიზნების ჩამოყალიბება ორმაგი ასპექტით შეიძლება:

- გარე მომხმარებლებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია - ფასდება საწარმოს გადახდისუნარიანობა, ფინანსური უსაფრთხოება და მომგებიანობა;
- შიდა მომხმარებლებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია - მის შეფასებასთან ერთად უნდა გამოვლიდეს ღონისძიებები რომლებიც საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ ქინება მიმართული და განხორციელდეს ისინი.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარებას სწორედ მისი მიზანი განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისით განისაზღვრება ფინანსური მდგომარეობის დესკრიპტული, პრედიკატული და ნორმატიული ანალიზი.

დესკრიპტულ ანალიზს აღწერთი ხასიათი აქვს. ასეთი ანალიზის მიზანია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება. იგი

ძირითადად ბუღალტრული ანგარიშგების ინფორმაციას ეყრდნობა და ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ანალიზურ ჭრილში წარდგენას. პრედიკატული ანუ წინასწარმჭვრეტელობითი ანალიზი პროგნოზირებადი ხასიათისაა. იგი საწარმოს მომავალი შემოსავლებისა და საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირებისთვის გამოიყენება. ნორმატიული ანალიზში კი იგულისხმება საწარმოს საქმიანობის ფაქტობრივი შედეგების შედარება გეგმით გათვალისწინებულ და მოსალოდნელ შედეგებთან.

მენეჯმენტის ფუნქციებს შორის დაგეგმვას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სტრატეგიული დაგეგმვა არის ორგანიზაციის მიზნებსა და მათი მიღწევის შესაძლებლობებს შორის შესაბამისობის მიღწევა. სტრატეგია წარმოადგენს დეტალურად დამუშავებულ კომპლექსურ გეგმას, რომელმაც მისია და ამ მისიიდან გამომდინარე მიზნების განხორციელების ორგანიზაცია უნდა უზრუნველყოს.

სტრატეგიული გეგმა არის საწარმოს პროგრამა, რომლითაც იგი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმართავს თავის საქმიანობას. სტრატეგიული დაგეგმვა ხელმძღვანელობას ეხმარება სამოქმედო გეგმის დაზუსტებასა და სრულყოფაში. სწორად განსაზღვრული საგეგმო გადაწყვეტილებების მიღება ამცირებს არასწორი გადაწყვეტილებების მიღების რისკს.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგია გვამლევს საშუალებას მოვახდინოთ ძალების კონცენტრირება გადაწყვეტილებათა ისეთი ვარიანტების მიღებაზე, რომლებიც ხელს უწყობენ დასახული მიზნების განხორციელებას. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სათანადო სტრატეგია საწარმოს არაეფექტური ფინანსური გადაწყვეტილებების თავიდან აცილების საშუალებას აძლევს.

მას შემდეგ რაც, სრულდება ფინანსური ანალიზი და გამოიტანება შესაბამისი დასკვნები, ფინანსური ანალიზის სტრატეგია, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება არსებობას წყვეტს. ახალი მიზნების დასახვის შემდეგ დღის წესრიგში დგება ახალი სტრატეგიის შემუშავების საკითხი.

1.2 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდოლოგია

ანალიზი სინამდვილის კვლევის მეთოდია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ მოვლენების სტრუქტურას, შემაჯგუფოებას, მათ ცალკეულ მომენტთა თავისებურებას და ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის წარმატებულად ჩატარების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია სათანადო მეთოდის შემუშავება. ზოგადად მეთოდის რაიმე საქმიანობის განხორციელებისათვის მიზანშეწონილი წესებისა და მეთოდების ერთობლიობას გულისხმობს.

ფინანსური ანალიზი მოიცავს კვლევის ორ მიმართულებას: საწარმოს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდისა და საწარმოს თემატური ფინანსური ანალიზის მეთოდის. ფინანსური ანალიზის მეთოდის, საწარმოს ფინანსური საქმიანობის კვლევის ანალიზური წესებისა და ხერხების ერთობლიობას წარმოადგენს, ხოლო მათი მიღწევა ფინანსური ანალიზის მიზანს წარმოადგენს. ზოგადად, ფინანსური ანალიზის ჩატარების კონკრეტული მეთოდები ან განსაზღვრული ვადები არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ისეთი მეთოდებისა და ვადების შერჩევა, რომლებიც საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენს.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის თავის მხრივ მოიცავს ანალიზის ინსტრუმენტებს, რომელშიც ერთიანდება ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ხერხები და ტექნოლოგიები. უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა მეცნიერ-ეკონომისტი ანალიზის მეთოდებს სხვადასხვანაირად აჯგუფებს. სხვადასხვა მოსაზრებების თანახმად მიზანშეწონილია შემდეგი ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდების გამოყენება:¹

- **ფინანსური ანგარიშგების წაკითხვა** - მასში იგულისხმება ანგარიშგებაში წარმოდგენილი აბსოლუტური მაჩვენებლების შესწავლა საწარმოს საშუალებების ძირითად წყაროების, მოგებისა და დივიდენდური პოლიტიკის

¹ იხოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 79)

განსაზღვრის მიზნით. ამ ეტაპზე ხდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ თავდაპირველი შთაბეჭდილებების ჩამოყალიბება.

- **დარგობრივი შედარებითი ანალიზი** - ამ მეთოდის დროს ანალიზი უტარდება საწარმოთა ერთი დარგის მაჩვენებლებს და მათი შედარების საფუძველზე კეთდება სათანადო დასკვნები.
- **საწარმოს მაჩვენებელთა დინამიკაში შედარება** - ამ მეთოდის დროს მაჩვენებელთა ტენდენციებისა და მათი განვითარების კანონზომიერების გამოსავლენად დაკვირვება ხდება წლების განმავლობაში მაჩვენებელთა ცვლილებაზე.
- **ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლების შედარება** - მისი დახმარებით ვადგენთ საწარმოს მიერ დასახული გეგმების შესრულებას აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებში.
- **კოეფიციენტური ანალიზი** - ამ მეთოდში იგულისხმება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის ფინანსური კოეფიციენტების გამოყენება.

კვლევებში როგორც ფინანსური, ასევე ეკონომიკური ანალიზი იყენებს ერთი და იგივე ხერხებს. მათი მიზანია საწარმოს საქმიანობის ამა თუ იმ მიმართულებების ერთმანეთთან კავშირის გაზომვა და მათი გავლენა საბოლოო ფინანსურ შედეგებსა და რისკებზე. ეკონომიკურ/ფინანსური ანალიზის ხერხები შეიძლება დავყოთ 3 ჯგუფად:²

- ✓ ანალიზის ტრადიციული ხერხები - საბალანსო და ელიმინირების ხერხები, შედარება და არითმეტიკული გადახრები, მარტივი და რთული პროცენტები, დისკონტირება;
- ✓ ტრადიციული სტატისტიკური მეთოდები - დაჯგუფება, საშუალო სიდიდეები, ინდექსები, დინამიკური მწკრივები, გრაფიკები;
- ✓ მათემატიკური მეთოდები - კორელაციური, დისპერსიული და ფაქტორული ანალიზი, ალბათობის მეთოდები როგორცაა თამაშთა თეორია, გადაწყვეტილებათა ხე და ა.შ.

² იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 24)

მეცნიერ-ეკონომისტთა აზრი ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის ეტაპების ფორმირებაშიც განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარების მეთოდის ეტაპებს ითვალისწინებს:

- წინასწარი შეფასება - მოცემულ ეტაპზე დგინდება არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება წასაკითხად მზად და მიზანშეწონილია თუ არა ანალიზის დაწყება. ამ დროს ხდება ფინანსური ანგარიშგების ვიზუალური დათვალიერება და შემოწმება, დგინდება ყველა აუცილებელი კომპონენტის არსებობა;
- მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ექსპრეს-ანალიზი - ამ ეტაპზე მიმდინარეობს ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება. გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ გამოიყოფა პრობლემური საკითხები ანალიზის შემდგომი ეტაპებისთვის. ფინანსური კოეფიციენტების გამოყენება საშუალებას იძლევა დადგინდეს ცალკეულ მაჩვენებელთა შორის ურთიერთკავშირი და შეფასდეს ცვლილებათა ტენდენციები. საბოლოო ეტაპზე ხასიათდება საწარმოს სამეურნეო საქმიანობა და ზოგადი ფინანსური მდგომარეობა;
- სიღრმისეული ანალიზი - მოცემულ ეტაპზე ხდება შიდა და გარე ინფორმაციის დეტალური გამოკვლევა. ამ კვლევის საფუძველზე ხდება ნეგატიური ცვლილებების მიზეზების გამოვლენა და მათი თავიდან აცილების შესაძლებლობების განსაზღვრა;
- ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზული ანალიზი - ამ ეტაპზე მთავარი ამოცანაა იმის გარკვევა თუ რა გავლენას ახდენს წარსულში ჩამოყალიბებული ტენდენციები და ახლად მიღებული გადაწყვეტილებები ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნებაზე.

ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთ მეთოდს ფინანსური მაჩვენებლების, ანუ კოეფიციენტების გამოყენება წარმოადგენს. ფინანსური კოეფიციენტების გამოყენება, ანალიზის მარტივ და სწრაფ საშუალებაა. ისინი

გვიჩვენებენ თანაფარდობას ფინანსური აღრიცხვის ორი მაჩვენებლს ან ორ მუხლს შორის. ფინანსურ ანალიზში არ გვაქვს საყოველთაოდ აღიარებული გამოთვლის სტანდარტული ხერხები ან კონკრეტული კოეფიციენტების ჩამონათვალი.

- ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლები;
- ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები;
- ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები;
- საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები;
- მომგებიანობისა და საინვესტიციო საქმიანობის მაჩვენებლები.

ასე გამოიყურება ძირითად ფინანსურ მაჩვენებელთა ჩამონათვალი. ანალიტიკოსის მიზნებიდან გამომდინარე ეს ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს და კიდევ უამრავი კოეფიციენტი დაემატოს. ყველაზე მეტად ეფექტურ მეთოდს ფინანსური კოეფიციენტების მეთოდის ანალიზი წარმოადგენს.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ზოგადი მაჩვენებლები:³

- ჰორიზონტალური ანალიზი - ანალიზის ამ მეთოდის გამოყენების დროს დგება შედარებითი ფინანსური ანგარიშის ცხრილი, შეირჩევა საბაზო პერიოდი და ხდება ამ მონაცემების სხვა წლების მონაცემებთან შედარება. საბოლოოდ დგინდება ზრდის ტემპები საბაზისო პერიოდთან მიმართებაში;
- ვერტიკალური ანალიზი - საშედეგო ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურის განსაზღვრა, თითოეული პოზიციის საბოლოო შედეგებზე გავლენის დადგენა;
- ტრენდული ანალიზი - ფინანსური ანგარიშგების თითოეული პოზიციის შედარება მთელ წინა პერიოდთან „ტრენდის“ საშუალებით;
- შედარებითი ანალიზი - შიდა საწარმოო, ქვედანაყოფების, საამქროების ცალკეულ მაჩვენებელთა შედარება ან საწარმოთაშორისი მაჩვენებელთა საშუალო დარგობრივ მაჩვენებელთა შედარება;
- კოეფიციენტური ანალიზი - გამოითვლება ფარდობითი მაჩვენებლები სათანადო პარამეტრების ფარგლებში.

³ იხოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 78-79)

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგების ანალიზი ძლიერი ინსტრუმენტია, ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკას თან ახლავს ზოგიერთი შეზღუდვები:⁴

1. შესადარისობა პერიოდებს შორის - შედგენილ და შენახულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია წარსული ოპერაციების შესახებ. მას შემდეგ შეიძლება მოხდეს სააღრიცხვო ცვლილებები და ინფორმაცია პერიოდიდან პერიოდამდე შეიცვალოს;
2. შესადარისობა საწარმოებს შორის - იქიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა საწარმომ შეიძლება განსხვავებულად დააჯგუფოს ინფორმაცია მათი კოეფიციენტები არაშესადარისი აღმოჩნდეს. ამის გამო შეიძლება ანალიტიკოსმა არასწორი დასკვნა გააკეთოს;
3. საოპერაციო (ოპერატიულ) ინფორმაციაზე მიუწვდომლობა - ფინანსური ანგარიშგების ანალიზი მხოლოდ ფინანსურ ინფორმაციას მიმოიხილავს და ყურადღების მიღმა რჩება საოპერაციო ინფორმაცია. აქედან გამომდინარე გარე ანალიტიკოსი ვერ ხედავს ცალკეული სახის პროდუქციის მომგებიანობას, შეკვეთების პორტფელის მოცულობას, ცვლილებას საგარანტიო მოთხოვნებში და ა.შ.

გარკვეული შეზღუდვების მიუხედავად, ფინანსური ანალიზი საწარმოს მენეჯმენტს საშუალებას აძლევს წარსული შედეგების საფუძველზე დაგეგმოს მომავალი და იწინასწარმეტყველოს განუსაზღვრელობები.

⁴ იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 80-81)

თავი 2. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი ასპექტები

2.1. საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასება აუცილებელია მისი ეკონომიკური მდგრადობისა და პოტენციალის შესაფასებლად. არასასურველი მდგომარეობის შემთხვევაში შეიძლება საწარმო გაკოტრებამდეც კი მივიდეს.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის დროს შეისწავლება ისეთი საკითხები, როგორცაა საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსების, ასევე ფულადი საშუალებების სტრუქტურული და დინამიკური მაჩვენებლები. საწარმოს რესურსები განიხილება როგორც ფუნქციონალური სახეების ასევე დაფინანსების წყაროების მიხედვით.

ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის ამოცანებს წარმოადგენს:⁵

- მიმდინარე აქტივების სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა;
- გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურის, დინამიკის და მდგომარეობის შესწავლა;
- აქტივების დაფინანსების წყაროების სტრუქტურული შესწავლა.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის მიზანს წარმოადგენს აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროების ოპტიმალური სტრუქტურის მიღწევის გზების გამონახვა. ანალიზის ინფორმაციული წყაროა ბუღალტრული ბალანსის მიმდინარე და წინა წლების ფაქტობრივი და გეგმური ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია აქტივებისა და დანაკარგების შესახებ.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზს ვიწყებთ მისი ზოგადი შეფასებით. პროდუქციის წარმოებაში მთავარ როლს საწარმოო მოწყობილობები, მანქანა დანადგარები და შენობა-ნაგებობები წარმოადგენენ. საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფის დასახასიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ ფონდუკუგება და ფონდტევადობა. ფონდუკუგება გვიჩვენებს საწარმოო ფონდების ყოველ ერთ ლარზე

⁵ იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 156)

რეალიზაციის მოცულობას. მისი ცვლილება დამოკიდებულია ძირითადი საშუალებების საშუალო წლიურ ღირებულებასა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე.

სს „თელიანი ველი“-ს ქონებრივი მდგომარეობის შეფასება

ცხრილი 2.1.1

სს „თელიანი ველი“-ს ქონებრივი მდგომარეობის ზოგადი მაჩვენებლები

(2015-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018	ცვლილება წინა წელთან შედარებით		
					2016	2017	2018
აქტივების ჯამი (ათასი ლარი)	20,344	19,363	22,118	27,297	-980	2,755	5,179
ძირითადი საშუალებები	7,475	6,772	6,571	6,790	-703	-201	219
არამატერიალური აქტივები	75	187	171	303	112	-16	132
საბრუნავი საშუალებები	12,794	12,404	15,376	20,204	-390	2,972	4,828
ქონებრივი მდგომარეობის ცვლილება %	-	-4.82	14.23	23.43	-	19.05	9.2
ძირითადი საშუალებების ცვლილება %	-	-9.4	-2.97	3.33	-	-12.37	6.3
არამატერიალური აქტივების ცვლილება %	-	149.3	-8.56	77.19	-	-157.86	85.75
საბრუნავი საშუალებების ცვლილება %	-	-3.05	23.96	31.40	-	27.01	7.44

როგორც 2.1.1. ცხრილიდან ვხედავთ საანალიზო პერიოდში შეიმჩნევა სს „თელიანი ველი“-ს ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. ცხრილში მოცემული მონაცემებით ირკვევა, რომ საბაზისო წელთან შედარებით 2017-2018 წლებში კომპანიის ქონება გაიზარდა. ასევე ზრდადი ტენდენციით ხასიათდება ქონების ზრდის ტემპიც. ქონების აბსოლუტურ მაჩვენებლების ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით 2017 წელს გაიზარდა 19.05 %-ით, ხოლო 2018 წელს წინა წელთან შედარებით 9.2 %-ით.

ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური, ფულადი და არამატერიალური რესურსების სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლების შესწავლა. ასეთი ანალიზის მიზანს აქტივებისა და მათი დაფინანსების ხელსაყრელი გზების გამონახვა წარმოადგენს. ქონებრივი მდგომარეობის ზოგადი ანალიზის შემდეგ მიზანშეწონილია აქტივების სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა. სს „თელიანი ველი“-ს მაგალითზე ასეთი სურათი მივიღეთ (იხ. ცხრილი 2.1.2).

სს „თელიანი ველი“-ს აქტივები 2015 წლიდან 2016 წლამდე 980 ლარით შემცირდა. მასზე გავლენა იქონია ძირითადი საშუალებების 703 ლარითა და საბრუნავი საშუალებების 390 ლარით შემცირებამ. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში დაუმთავრებელი მშენებლობის ხვედრითი წილი წინა წელთან შედარებით (0.25 პუნქტით) შემცირდა, ასევე შემცირდა მანქანა დანადგარების ხვედრითი წილი (0.45 პუნქტით) რაც არასასურველი მაჩვენებელია. (იხ. ცხრილი 2.1.2)

2017 წელს წინა წელთან შედარებით აქტივები დიდი ოდენობით გაიზარდა (2,755 ლარით). აქტივები გაიზარდა საბრუნავი საშუალებების ზრდის ხარჯზე, რომელიც გაიზარდა 2,972 ლარით. საბრუნავი საშუალებები გაიზარდა მარაგების ზრდის ხარჯზე (11.68 პუნქტით). მოცემულ წელს შეინიშნება არამატერიალური აქტივებისა და ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილების შემცირება. წინა წელთან შედარებით 2017 წელს დაუმთავრებელი მშენებლობის ხვედრითი წილი 4.91 პუნქტით გაიზარდა ხოლო მანქანა-დანადგარების ხვედრითი წილი 4.36 პუნქტით შემცირდა, რაც არასასურველ ტენდენციაზე მიუთითებს. (იხ. ცხრილი 2.1.2)

2018 წლის ბოლოს, 2.1.1 ცხრილიდან ვხედავთ რომ აქტივები წინა წლის მსგავსად ისევ ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ასევე ზრდა შეინიშნება არამატერიალურ აქტივებში, ძირითად და საბრუნავ საშუალებებში თუმცა, აქტივების ზრდაზე ყველაზე მეტად საბრუნავი საშუალებების ზრდამ იქონია გავლენა. საბრუნავი საშუალებების ცვლილებაზე გავლენა მარაგებისა (5.79 პუნქტით) და დებიტორული დავალიანების (8.52 პუნქტით) ზრდამ, ხოლო ფულადი საშუალებების კლებამ (2.72 პუნქტით) მოახდინა.

ცხრილი 2.1.2

სს „თელიანი ველი“-ს აქტივების სტრუქტურა

(2015-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2015		2016		2017		2018		ცვლილება წინა წელთან შედარებით					
									2016		2017		2018	
	თანხა	ხგ.წი	თანხა	ხგ.წი	თანხა	ხგ.წი	თანხა	ხგ.წი	თანხა	ხგ.წი	თანხა	ხგ.წი	თანხა	ხგ.წი
აქტივები	20,3	100	19,3	100	22,1	100	27,2	100	-	-	275	-	517	-
	44		63		18		97		980	-	5	-	9	-
მ.შ														
ძირითადი საშუალებები	7,47	36.9	6,77	34.9	6,57	29.7	6,79	24.8	-	-1.95	-201	-5.26	219	-4.84
	5	2	2	7	1	1	0	7	703					
მ.შ														
მიწა და შენობები	2,95	39.5	2,76	40.8	2,57	39.1	2,49	36.7	-	-	-	-	-	-
	6	6	8	8	3	6	4	3	188	1.32	195	1.72	-79	2.43
ქარხნის მანქანა დანადგარები	1,38	18.5	1,21	18	896	13.6	693	10.2	-	-	-	-	-	-
	6	4	9		4		1		167	0.45	323	4.36	203	3.43
სამეურნეო და საოფისე ინვენტარი	104	1.39	76	1.12	133	2.02	863	12.7	-28	0.27	57	0.9	730	9
								1						10.6
დაუმთავრებელი მშენებლობა	3,02	40.5	2,72	40.2	2,96	45.1	2,74	40.3	-	-			-	-
	9	2	7	7	9	8	0	5	302	0.25	242	4.91	229	4.88

არამატერიალური აქტივები	75	0.37	187	0.97	171	0.77	303	1.11	112	0.6	-16	-0.2	132	0.34
მ.შ														
ლიცენზიები	25	33.3	107	57.2	121	70.7	173	57.1	82	23.8	14	13.5	52	-
		3		2		6				9		4		13.66
კომპიუტერული პროგრამები	50	66.6	80	42.7	50	29.2	130	42.9	30	-	-30	-	80	13.6
		6		8		4				23.88		13.54		6
საბრუნავი საშუალებები	12,7	62.8	12,4	64.1	15,3	69.5	20,2	74.0	-	1.21	297	5.42	482	4.5
	94	9	04		76	2	04	2	390		2		8	
მ.შ														
მარაგები	7,32	57.2	5,55	44.7	8,68	56.4	10,2	50.6	-	-	312		155	-
	5	5	5	8	2	6	37	7	1770	12.47	7	11.68	5	5.79
დებიტორული დავალიანებები	4,01	31.5	6,18	49.8	6,15	40	9,80	48.5	2,16	18.3		-	365	
	8	2	1	3	1		3	2	3	1	-30	9.83	2	8.52
ფულადი საშუალებები	1,45	11.3	668	5.39	543	3.53	164	0.81	-	-	-	-	-	-
	1	4							783	5.95	125	1.86	379	2.72

პროდუქციის წარმოებაში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს მანქანა დანადგარები, საწარმოს მოწყობილობები და შენობა-ნაგებობები. მათ დასახასიათებლად გამოიყენება ფონდუკუგებისა და ფონდევატობის მაჩვენებლები. ფონდუკუგება გვიჩვენებს რამდენი ლარის შემოსავალია მიღებული ყოველ ერთ ლარ ძირითად საშუალებაზე. სხვა თანაბარ პირობებში რაც უფრო მაღალი იქნება ფონდუკუგება, მით უფრო მეტად გაიზრდება აქტივების მომგებიანობის დონეც. ამ მაჩვენებლის ანალიზის მეთოდით განხილულია ღვინის მწარმოებელი კომპანია სს „თელიანი ველი“-ს მაგალითზე და მის გასაანგარიშებლად რეალიზებული პროდუქციის მოცულობა გამოვიყენეთ.

სს „თელიანი ველი“-ს ფონდუკუგების მაჩვენებელი გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება. 2016 წელს ეს მაჩვენებელი გაუარესდა 0.35-ით თუმცა 2017 წლის ბოლოს გაუმჯობესდა 0.7-ით ხოლო 2018 წლის ბოლოს 0.83-ით. ფონდუკუგების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზეზი რეალიზაციის მოცულობისა და ძირითადი საშუალებების საშუალოწლიური ღირებულების ზრდა გახდა. (იხ. ცხრილი 2.2.3)

ცხრილი 2.1.3

სს „თელიანი ველი“-ს ძირითადი საწარმოო ფონდებით უზრუნველყოფის
მაჩვენებლები (2015-2018 წწ.)

N	მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018	ცვლილება წინა წელთან შედარებით		
						2016	2017	2018
1	რეალიზებული პროდუქციის მოცულობა(ათასი ლარი)	12,520	14,294	19,735	25,318	1,774	5,441	5,583
2	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6,403	8,507	10,161	15,467	2,104	1,654	5,306
3	ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება	4,026	5,178	5,696	5,896	1,152	518	200
4	ფონდუკუგება (ლარებში)1/3	3.11	2.76	3.46	4.29	-0.35	0.7	0.83
5	ფონდტევადობა (ლარებში) 3/1	0.32	0.36	0.29	0.23	0.04	-0.07	-0.06

სს „თელიანი ველი“-ს ფონდტევადობის ანალიზის შემდეგ დავადგინეთ, რომ რეალიზებული პროდუქციის ყოველ ერთ ლარზე ძირითადი საშუალებების ღირებულება 2017 წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2017 წლის შემდეგ კლება დაიწყო.

მოცემული მონაცემების საფუძველზე ჩატარებული ანალიზის შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპანიის საწარმოო პოტენციალი გაუმჯობესებით ხასიათდება, რაც მის ფინანსურ მდგრადობაზე დადებით გავლენას ახდენს.

2.2 ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების ანალიზი

ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მნიშვნელოვანია მაჩვენებლებია. საწარმოს გადახდისუნარიანობა მისი ლიკვიდურობის ხარისხით ხასიათდება. ლიკვიდურობა გულისხმობს კომპანიის რესურსების ხელმისაწვდომობას მოკლევადიანი ფულადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. გადახდისუნარიანობა კომპანიის გრძელვადიან ფინანსური სიცოცხლისუნარიანობასა და გრძელვადიანი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას გულისხმობს. გადახდისუნარიანობის ანალიზი კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ლიკვიდურობა არის აქტივების ფულად სახსრებად გადაქცევის ან ფულადი სახსრების მოპოვების შესაძლებლობა. ლიკვიდურობის ხარისხი იმ დროის ხანგრძლივობით განისაზღვრება, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება ეს ტრანსფორმაცია. ლიკვიდურობის მნიშვნელობა ყველაზე უკეთ ჩანს კომპანიის მიერ მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის შემდეგ მიღებული შედეგების გათვალისწინებით. ლიკვიდურობის უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა კომპანიის უუნარობა დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. საწარმოს ლიკვიდურობა გულისხმობს, რომ გააჩნდეს საკმარისი სახსრები იმისათვის რომ შეასრულოს თავისი ვალდებულებები.

მიუხედავად დიდი მსგავსებისა ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა არ არის იგივეური ცნებები. გადახდისუნარიანობა ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნას გულისხმობს, ხოლო ლიკვიდურობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას გულისხმობს. ლიკვიდურობის კოეფიციენტი გარკვეულ ფარგლებში მერყეობს და ანალიტიკოსებს საშუალებას აძლევს გააკეთონ შესაბამისი დასკვნები. რაც შეეხება გადახდისუნარიანობას, იგი დღიდან დღემდე ძალზედ ცვალებადია.

ლიკვიდურობის ანალიზის შედარების მიზნით აქტივები ჯგუფდება ლიკვიდურობის კლების მიხედვით, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებები

ჯგუფდება მათი დაფარვის ვადების ზრდის პრონციპით. აქტივები ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით შემდეგი სახით ჯგუფდება:⁶

A₁ - ყველაზე უფრო ლიკვიდური აქტივები - საწარმოს ფულადი საშუალებები და ფასიანი ქაღალდები;

A₂ - სწრაფად რეალიზებადი აქტივები - დებიტორული დავალიანებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელს არ აღემატება;

A₃ - ნელა რეალიზებადი აქტივები - მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, გადახდილი დღგ, დებიტორული დავალიანებები რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელს აღემატება;

A₄ - რთულად რეალიზებადი აქტივები - არასაბრუნავი აქტივები, ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, დაუმთავრებელი მშენებლობა.

ვალდებულებები, დაფარვის ვადების მიხედვით ჯგუფდება შემდეგი სახით:⁷

P₁ - სასწრაფო ვალდებულებები - კრედიტორული დავალიანებები და ბანკის მოკლევადიანი კრედიტები, რომელთა გადახდის ვადა დამდგარია;

P₂ - მოკლევადიანი ვალდებულებები - მოკლევადიანი სესხები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები;

P₃ - გრძელვადიანი ვალდებულებები - ბანკის გრძელვადიანი სესხები, ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან, გრძელვადიანი თამასუქები, გასანადღებელი ობლიგაციები;

P₄ - მუდმივი პასივები - საკუთარი კაპიტალი, რომელიც მუდმივად საწარმოს განკარგულებაშია.

⁶ გ. ტყეშელაშვილი, თ. კილაძე, ქ. კიწმარიშვილი, ტ. ქოქოლაძე, *ეკონომიკური ანალიზი* (თბილისი 2012. 115)

⁷ გ. ტყეშელაშვილი, თ. კილაძე, ქ. კიწმარიშვილი, ტ. ქოქოლაძე, *ეკონომიკური ანალიზი* (თბილისი 2012. 116)

ბალანსის ლიკვიდურობის განსაზღვრისას უნდა შეუდარდეს ერთმანეთს აქტივებისა და ვალდებულებების მოცემული ჯგუფების შედეგები. ბალანსი აბსოლუტურად ლიკვიდურად ითვლება თუ ერთდროულად გვაქვს შემდეგი თანაფარდობები:

$$A_1 \geq P_1; \quad A_2 \geq P_2; \quad A_3 \geq P_3; \quad A_4 \leq P_4.^8$$

იმ შემთხვევაში თუ პირველი სამი თანაფარდობა სრულდება, მეოთხეც აუცილებლად სრულდება. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია პირველი სამი ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების ჯამების შეფარდება. მეოთხე უტოლობის შესრულება ფინანსური მდგრადობის მინიმალური პირობების დაცვას ადასტურებს. იმ შემთხვევაში თუ ერთ ან რამოდენიმე უტოლობას ექნება საპირისპირო ნიშანი მაშინ ბალანსის ლიკვიდურობა მეტი ან ნაკლები ხარისხით იქნება განსხვავებული აბსოლუტურისგან. ერთ რომელიმე ჯგუფში სახსრების ნაკლებობა კომპენსირდება აქტივების მეორე ჯგუფში მხოლოდ ღირებულების სიდიდით, რადგან ნაკლებად ლიკვიდური აქტივები ვერ ჩაენაცვლება მეტად ლიკვიდურს.

ლიკვიდურობის ანალიზის პროცესში მიზანშეწონილია შემდეგი მაჩვენებლების გაანგარიშება:

- ✓ საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი
- ✓ საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- ✓ სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- ✓ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი

საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი გვიჩვენებს რა წილი უჭირავთ ყველაზე ლიკვიდურ საშუალებებს საკუთარ საბრუნავ სახსრებში. ეს მაჩვენებელი ნულიდან ერთამდე მერყობს, თუმცა თეორიულად მისი უფრო მაღალი დონის მიღწევაც შესაძლებელია. სხვა თანაბარ პირობებში ამ მაჩვენებლის ზრდა

⁸ გ. ტყეშელაშვილი, თ. კილაძე, ე. კიწმარიშვილი, ტ. ქოქოლაძე, *ეკონომიკური ანალიზი* (თბილისი 2012. 116)

დადებითი მოვლენაა. მისი სიდიდე დამოკიდებულია საწარმოში თავისუფალი ფულადი თანხების საჭიროებაზე.

ფორმულა 2.2.1⁹

$$\text{სსს მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი საშუალებები}}{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}$$

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი იძლევა აქტივების ლიკვიდურობის ზოგადი შეფასების საშუალებას. იგი გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს. ეს კოეფიციენტი არ უნდა იყოს ორზე ნაკლები და სამზე მეტი. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით იდეალური თანაფარდობა ორს უტოლდება, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ სხვადასხვა ტიპის ბიზნესისათვის საბრუნავი საშუალებებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების განსხვავებული თანაფარდობაა საჭირო. მიმდინარე აქტივების მაღალი ტემპით ზრდა იძლევა უკუშედეგებს და ამიტომ ამ კოეფიციენტის მაღალი დონე სასურველი არ არის.

ფორმულა 2.2.2¹⁰

$$\text{საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი ადარებს კომპანიის ყველაზე მოკლევადიან აქტივებს მის ყველაზე მოკლევადიან ვალდებულებებთან, რათა დადგინდეს აქვს თუ არა კომპანიას საკმარისი ფულადი სახსრები ვალდებულებების დასაფარად. ეს კოეფიციენტი ერთიდან ორამდე შუალედში მერყეობს და მისი იდეალური მაჩვენებელი ერთის ტოლია. ძალიან მაღალი თანაფარდობა ყოველთვის არ არის კარგი. ეს შეიძლება მიანიშნებდეს, რომ ფულადი სახსრები ინვესტირების მაგივრად უქმად დაგროვდა საწარმოში.

⁹ იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 185)
¹⁰ იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 185)

$$\begin{aligned} & \text{სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი} \\ & = \frac{\text{ფულადი თანხები} + \text{მოკლევადიანი მოთხოვნები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} \end{aligned}$$

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, მოცემულ მომენტში მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი საწარმოში არსებული ფულადი თანხებით. ეს კოეფიციენტი ახასიათებს მიმდინარე ვალდებულებების წილს, რომელიც აქტივების ყველაზე ლიკვიდური ნაწილით უნდა დაიფაროს. აღნიშნული კოეფიციენტი მერყეობს 20%-დან 30%-მდე და უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემული კოეფიციენტი არ უნდა იყოს 20%-ზე ნაკლები.

$$\text{აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი სახსრები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

¹¹ იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 184)

¹² იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 184)

სს „თელიანი ველი“-ს ლიკვიდურობის შეფასება

ცხრილი 2.2.1

სს „თელიანი ველი“-ს საკუთარი საბრუნავი სახსრები
(2015-2018 წწ.) (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018
მიმდინარე აქტივები	18 335	20 018	25 873	32 620
მიმდინარე ვალდებულებები	5 541	7 614	10 497	12 416
საკუთარი საბრუნავი სახსრები	12 794	12 404	15 376	20 204

2.2.1 ცხრილიდან ჩანს, რომ ყოველ წელს სს „თელიანი ველი“-ს საკუთარი საბრუნავი სახსრების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება. კომპანიას 2016 წელს ჰქონდა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, 2018 წელს კი აქვს საკუთარი საბრუნავი სახსრების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რომელიც 20 204-ს უტოლდება. აღვნიშნავთ, რომ საკუთარი საბრუნავი სახსრების ზრდა დადებითი მოვლენაა. იგი მიგვანიშნებს, რომ კომპანიის მიმდინარე აქტივები სჭარბობს მიმდინარე ვალდებულებებს.

ცხრილი 2.2.2

სს „თელიანი ველი“-ს საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების
კოეფიციენტი (2015-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018
ფულადი სახსრები	2 619	1 873	3 239	5 809
საკუთარი საბრუნავი სახსრები	12 794	12 404	15 376	20 204
სსს მანევრირების კოეფიციენტი	0.2	0.15	0.21	0.29

როგორც 2.2.2 ცხრილიდან ვხედავთ 2015 წლის ბოლოს სს „თელიანი ველი“-ს საწარმოს საკუთარი საბრუნავი სახსრების 20% თავისუფალი ფულის სახით გააჩნდა. 2016 წელს წინა წელთან შედარებით ეს კოეფიციენტი შემცირდა 0.05 პუნქტით რაც მიგვანიშნებს, რომ კომპანიას ნაკლები თავისუფალი ფულადი სახსრები ჰქონდა ამ წელს.

მომდევნო ორ წელიწადში საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტმა ზრდა დაიწყო, 2017 წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი 0.21-ს ხოლო 2018 წლის ბოლოს 0.29-ს გაუტოლდა, რაც გამოწვეული იყო ფულადი სახსრების ზრდითა და მიმდინარე ვალდებულებების შემცირებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაჩვენებლის ზრდა დადებითი მოვლენაა და მისი მნიშვნელობა ყოველ წელს თეორიულად დასაშვებ ზღვარში არის მოქცეული.

ცხრილი 2.2.3

სს „თელიანი ველი“-ს საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი

(2015-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018
სულ მიმდინარე აქტივები	18 335	20 018	25 873	32 620
სულ მიმდინაე	5 541	7 614	10 497	12 416
ვალდებულებები				
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	3.31	2.63	2.46	2.63

როგორც უკვე აღვნიშნეთ საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი უნდა მერყეობდეს 2-სა და 3-ს შორის. 2.2.3 ცხრილიდან ვხედავთ რომ სს „თელიანი ველი“-ს საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი თეორიულად დასაშვებ ზღვარშია მოთავსებული. 2015 წელს კოეფიციენტი შეადგენს 3.31-ს რაც თეორიულად დასაშვებ ზღვარზე მაღალი მაჩვენებელია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიას შესწევს უნარი

დაფაროს ყველა მიმდინარე ვალდებულება და ამასთანავე დარჩეს რესურსები ფუნქციონირებისთვის.

მომდევნო წლებში საერთო ლიკვიდურობის მაჩვენებელი კლებას იწყებს, თუმცა ვხედავთ, რომ მიმდინარე აქტივები საკმაოდ სჭარბობს მიმდინარე ვალდებულებებს. საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტს ყველაზე დაბალი მნიშვნელობა 2017 წელს აქვს, თუმცა ამის მიუხედავად კომპანიას მაინც შესწევს უნარი დაფაროს საკუთარი მიმდინარე ვალდებულებები. 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი ისევ იზრდება და 2016 წლის მაჩვენებელს უტოლდება (2.63).

ცხრილი 2.2.4

**სს „თელიანი ველი“ -ს სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი
(2015-2018 წწ.)**

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018
ფულადი სახსრები და დებიტორული დავალიანებები	6 637	8 054	11 921	16 612
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5 541	7 614	10 497	12 416
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.2	1.06	1.14	1.34

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-სა და 2-ს შორის მერყეობს და მისი იდეალური მაჩვენებელი 1-ის ტოლია. კომპანია „თელიანი ველი“-ს მაგალითზე ჩვენ ვხედავთ რომ სწრაფი ლიკვიდურობის მაჩვენებელი ყოველ წელს თეორიულად დასაშვებ ზღვაში თავსდება და თითქმის იდეალურთან არის მიახლოებული.

2016 წელს წინა წელთან შედარებით მაჩვენებელმა დაიკლო 0.14 პუნქტით თუმცა კომპანიას მაინც ჰქონდა შესაძლებლობა დაეფარა თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები. 2017-2018 წლებში შეინიშნება სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის ზრდა. 2018 წელს ეს მაჩვენებელი 0.2 პუნქტით გაიზარდა რაც გვაძლევს

იმის დასკვნის საშუალებას, რომ კომპანიას შეუძლია დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი მოთხოვნების გამოყენებით.

ცხრილი 2.2.5

სს „თელიანი ველი“-ს აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი

(2015-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018
ფულადი სახსრები	2 619	1 873	3 239	5 809
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5 541	7 614	10 497	12 416
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.47	0.25	0.31	0.47

როგორც უკვე აღვნიშნეთ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 20%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. 2.2.5 ცხრილიდან ვხედავთ რომ სს „თელიანი ველი“-ს ყოველი წლის აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 20%-ზე მაღალია რაც დადებითი მოვლენაა.

2016 წელს წინა წელთან შედარებით აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტმა დაიკლო 0.22 პუნქტით რაც გამოწვეული იყო ფულადი სახსრების კლებითა და მიმდინარე ვალდებულებების რაოდენობის ზრდით.

2017-2018 წლებში აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ვალდებულებები ყოველ წელს იზრდება კომპანია ფლობს იმდენ ფულად სახსრებს, რომ დაფაროს ისინი. კომპანიას ორივე წელს შეეძლო ვალდებულებების 31%-ისა და 47%-ის მყისიერად დაფარვა, რაც მიაწინებებს მის მყარ ფინანსურ მდგომარეობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საწარმოს ბალანსი იმ შემთხვევაში ითვლება ლიკვიდურად, როდესაც ყველა თანაფარდობა სრულდება (იხ. ცხრილი 2.2.6). სს „თელიანი ველი“-ს საანალიზო წლების განმავლობაში რამდენიმე გამონაკლისის გარდა

ყველა პირობა შესრულებულია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ პერიოდში საწარმოს ბალანსი ლიკვიდურია.

ცხრილი 2.2.6

სს „თელიანი ველი“-ის ბალანსის ლიკვიდურობის მაჩვენებლები

(2015-2018 წწ.) (ათასი ლარი)

თანაფარდობა	2015	2016	2017	2018
$A_1 \geq P_1$	2,619 > 1,273	1,873 < 1,905	3,239 > 2,098	5,809 > 3,675
$A_2 \geq P_2$	6,637 > 5,541	8,054 > 7,614	11,921 > 10,497	16,612 > 12,416
$A_3 \geq P_3$	7,325 < 10,293	5,555 < 7,611	8,682 > 5,175	12,235 > 6,860
$A_4 \leq P_4$	8,660 < 11,161	36,090 < 40,883	78,956 < 89,157	85,159 < 98,503

2.3 ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა ანალიზი

ფინანსური სტაბილურობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. საწარმოს ფინანსური სტაბილურობა მისი ფინანსური რესურსების ისეთი მდგომარეობაა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს განვითარებას და მოგებისა და კაპიტალის ზრდას. საწარმოს ფინანსურ სტაბილურობაზე მრავალი შიდა და გარე ფაქტორი ახდენს გავლენას. მათ მიეკუთვნება:¹³

- საწარმოს უზრუნველყოფა აუცილებელი ფინანსური რესურსებით საოპერაციო საქმიანობის ნორმალური განხორციელებისთვის
- ფინანსური რესურსების საწარმოს ქონებაში მიზნობრივი და ეფექტიანი დაბანდება და მათი რაციონალური გამოყენება
- მყიდველებთან, მომწოდებლებთან, საკრედიტო დაწესებულებებთან და სახელმწიფოსთან საიმედო პარტნიორული ურთიერთობების დამყარება
- საწარმოს რეკუტაცია დარგსა და საზოგადოებაში.

საკუთარი და ნასესხები წყაროებით საწარმოს მარაგებისა და დანახარჯების უზრუნველყოფის თვალსაზრისით განასხვავებენ ფინანსური სტაბილურობის შემდეგ ოთხ ტიპს:¹⁴

1. **აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა** - საკუთარი საბრუნავი სახსრებით მთლიანად არის უზრუნველყოფილი მატერიალური მარაგები. ასეთი თანაფარდობა იშვიათად არსებობს და არც იდეალურ მაჩვენებლად ითვლება, რადგან მიუთითებს იმაზე, რომ საწარმოს მენეჯმენტი არ ან ვერ იყენებს გარე სახსრებს ძირითადი საქმიანობის დასაფინანსებლად. სპეციალისტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოში მატერიალურ ფასეულობებში საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი 50%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მატერიალური მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრები

¹³ იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 192)

¹⁴ გ. ტყემელაშვილი, თ. კილაძე, ქ. კიწმარიშვილი, ტ. ქოქოლაძე, *ეკონომიკური ანალიზი* (თბილისი 2012, 108-109)

2. **ნორმალური ფინანსური მდგომარეობა** - მარაგებისა და დანახარჯების უზრუნველყოფა საკუთარი საბრუნავი სახსრებითა და ნასესხები წყაროებით ხდება. ოპტიმალური თანაფარდობა არსებობს საკუთარ და მოზიდულ სახსრებს შორის. მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროები გულისხმობს საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოკლევადიანი სესხების, კრედიტორული დავალიანებებისა და მიღებული ავანსების ერთობლიობას.

*საკუთარი საბრუნავი სახსრები < მატერიალური მარაგები
< მარაგის ფორმირების "ნორმალური" წყაროები*

3. **არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა** - მარაგებისა და დანახარჯების უზრუნველყოფა არა მხოლოდ ნორმალური წყაროების, არამედ საკუთარი საბრუნავი საშუალებების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნასესხები წყაროების საფუძველზე ხდება. საწარმოს აღებული ყველა სესხი მარაგების შესაძენად გამოიყენება.

მატერიალური მარაგები > მარაგების ფორმირების "ნორმალური" წყაროები

4. **კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა** - საწარმოს მარაგები არ არის უზრუნველყოფილი მათი ფორმირების წყაროებით და იმყოფება გაკოტრების ზღვარზე. საწარმოს გააჩნია გადაუხდელი ვალდებულებები, სესხები და ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები. კრიტიკული ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმო მთლიანად დაფინანსების მოზიდულ წყაროებზეა დამოკიდებული.

საწარმოს ფინანსური სტაბილურობის დეტალური ანალიზი უნდა ჩატარდეს სათანადო ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით. ფინანსური სტაბილურობის ანალიზისა და დახასიათებისათვის შემდეგი ფარდობითი მაჩვენებლები გამოიყენება:

- ✓ საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი
- ✓ ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი

- ✓ ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი
- ✓ საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი
- ✓ საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი
- ✓ გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი
- ✓ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი

საკუთარი სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს აქტივებში საკუთარი კაპიტალის წილს. რაც მაღალია ეს კოეფიციენტი მით უფრო მაღალია საწარმოს მდგრადობა. სასურველია, რომ მისი მნიშვნელობა აღემატებოდეს 0.5-ს. საერთოდ მიღებულია, რომ საკუთარი კაპიტალის წილი ვალდებულებების წილს უნდა აღემატებოდეს.

ფორმულა 2.3.1¹⁵

$$\text{საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოზიდული კაპიტალი}}$$

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტთან ერთად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი.

ფორმულა 2.3.2¹⁶

$$\text{ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{ნასესხები წყაროები}}{\text{მთლიანი აქტივები}}$$

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდეა ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს საკუთარ კაპიტალს რამდენჯერ აღემატება აქტივები. მისი იდეალური დონე ერთს უდრის. ამ მაჩვენებლის ზრდა მიანიშნებს იმაზე, რომ საწარმოს ფინანსურ სტაბილუობას საფრთხე ექმნება.

¹⁵ იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 192)

¹⁶ იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 193)

ფორმულა 2.3.3¹⁷

$$\text{ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტის სიდიდე დამოკიდებულია დარგის თავისებურებაზე. მისი საშუალო მაჩვენებელი 50%-ზე მეტი ან ტოლი უნდა იყოს. აღნიშნული კოეფიციენტი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის წილს, რომელიც გამოიყენება მიმდინარე საქმიანობის დაფინანსებისათვის.

ფორმულა 2.3.4¹⁸

$$\text{საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი საწარმოს მდგრადობის ზოგადი მაჩვენებელია. მოცემული მაჩვენებლის ზრდა დადებითად ითვლება, რადგან რაც უფრო მეტია კაპიტალში საკუთარი სახსრების წილი, მით უფრო დაბალია კომპანიის ფინანსური რისკები. მისი მინიმალური ზღვარი ერთს უტოლდება.

ფორმულა 2.3.5¹⁹

$$\begin{aligned} &\text{საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი} \\ &= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ნასესხები კაპიტალი}} \end{aligned}$$

გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი ახასიათებს გარე იწვევების მიერ გრძელვადიანი აქტივების თუ რა ნაწილია დაფინანსებული და რა ეკუთვნის საწარმოს მესაკუთრეებს, მაშინ როდესაც გრძელვადიანი ვალდებულებები გამოიყენება მხოლოდ გრძელვადიანი აქტივების დასაფინანსებლად. მისი მაღალი მნიშვნელობა მიუთითებს, რომ საწარმო დამოკიდებულია გარე იწვევებზე.

¹⁷ იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 193)

¹⁸ იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 193)

¹⁹ იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 192)

ფორმულა 2.3.6²⁰

$$\text{გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}$$

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი იკვლევს კომპანიის კაპიტალსა და სესხებს შორის კავშირს. იგი განსაზღვრავს გამოყენებული კაპიტალის თანხაში გრძელვადიანი ვალდებულებების წილს. ამ კოეფიციენტის ზრდა უარყოფითი მაჩვენებელია.

ფორმულა 2.3.7²¹

$$\text{ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

სს „თელიანი ველი“-ს ფინანსური სტაბილურობის შეფასება

ცხრილი 2.3.1

სს „თელიანი ველი“-ს ფინანსური მდგომარეობა

(2015-2018 წწ.) (ათასი ლარი)

	საკუთარი საბრუნავი სახსრები		მატერიალური მარაგები	ფინანსური მდგომარეობა
2015	12 794	>	8 682	აბსოლუტურად მდგრადი
2016	12 404	>	5 555	აბსოლუტურად მდგრადი
2017	15 376	>	8 682	აბსოლუტურად მდგრადი
2018	20 204	>	12 237	აბსოლუტურად მდგრადი

²⁰ იხოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 193)

²¹ იხოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 302)

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად ერთმანეთს შევადარეთ ყოველი საანალიზო წლის საკუთარი საბრუნავი სახსრები და მატერიალური მარაგები. როგორც 2.3.1 ცხრილიდან ვხედავთ საანალიზო პერიოდში ოთხივე წელს სს „თელიანი ველი“-ს ფინანსური მდგომარეობა აბსოლუტურად მდგრადი იყო, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა.

ცხრილი 2.3.2

სს „თელიანი ველი“-ს საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი

(2015-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018
საკუთარი კაპიტალი	11 161	40 883	89 157	98 503
სულ აქტივები	26 995	56 108	104 829	117 779
საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0.41	0.73	0.85	0.84

აღსანიშნავია რომ საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი უნდა აღემატებოდეს 50%-ს. ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2015 წელს არის დასაშვებ ზღვარს ქვემოთ, დანარჩენ სამ საანალიზო წელს მისი მაჩვენებელი 50%-ზე გაცილებით მაღალია.

2015 წლიდან 2016 წლის ბოლომდე სს „თელიანი ველი“-ს საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 41%-დან 73%-მდე გაიზარდა. ასეთი მკვეთრი ზრდა გამოიწვია საკუთარი კაპიტალის დიდი რაოდენობით ზრდამ.

2017 წელს ეს მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა 85%-მდე რაც ისევ საკუთარი კაპიტალის ზრდით იყო გამოწვეული. თუმცა უკვე 2018 წლის ბოლოს სს „თელიანი ველი“-ს საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტმა დაიკლო რაც განპირობებული იყო აქტივების ზრდით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო საანალიზო

წელს კოეფიციენტი შემცირდა, მაინც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპანია ფინანსურად მდგრადია.

როგორც 2.3.3 ცხრილიდან ვხედავთ ნასესხები სახსრების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კომპანიას 2015 წელს ჰქონდა. შემდეგ წლებში შეინიშნება სს „თელიანი ველი“-ს ნასესხები სახსრების კოეფიციენტის კლება, რაც დადებითი მოვლენაა. ამ მაჩვენებლის კლება გამოწვეულია კაპიტალში განხორციელებული დამატებითი შენატანებით, კომპანია საკუთარი სახსრებით აფინანსებს აქტივებს.

ცხრილი 2.3.3

სს „თელიანი ველი“-ს ნასესხები სახსრების კოეფიციენტი

(2015-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018
სულ ვალდებულებები	15 834	15 225	15 672	19 276
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	26 995	56 108	104 829	117 779
ნასესხები სახსრების კოეფიციენტი	0.59	0.27	0.15	0.16

სს „თელიანი ველი“-ს ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი საანალიზო პერიოდში მცირდება და თეორიულად სრულყოფილ დონეს უახლოვდება. (იხ. ცხრილი 2.3.4).

2015 წლის ბოლოს იყო ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 2.42-ის ტოლი, შემდეგ კი კლება დაიწყო რაც გამოწვეული იყო მოზიდული სახსრების რაოდენობის კლებით, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა.

2016 წლის ბოლოს სს „თელიანი ველი“-ს ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი შემცირდა, და 1.37 გაუტოლდა რაც დადებითი მოვლენაა.

ცხრილი 2.3.4

სს „თელიანი ველი“-ს ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი

(2015-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018
სულ აქტივები	26 995	56 108	104 829	117 779
სულ კაპიტალი	11 161	40 883	89 157	98 503
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	2.42	1.37	1.18	1.2

2017-2018 წლებში სს „თელიანი ველი“-ს ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტმა მიაღწია წინა წლებთან შედარებით უფრო დაბალ ნიშნულს და მიუახლოვდა თეორიულად სრულყოფილ ნორმას. როგორც ცხრილიდან ვხედავთ მოზიდული სახსრების ხვდრითი წილი მცირდება და კომპანია სულ უფრო მეტად ხდება დამოუკიდებელი.

ცხრილი 2.3.5

სს „თელიანი ველი“-ს საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი

(2015-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018
საკუთარი საბრუნავი სახსრები	12 794	12 404	15 376	20 204
საკუთარი კაპიტალი	11 161	40 883	89 157	98 503
საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	1.15	0.30	0.17	0.21

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საკუთარი საბრუნავი სახსრების კოეფიციენტი მეტი ან ტოლი უნდა იყოს 50%-ის. პირველ საანალიზო წელს საკუთარი კაპიტალი მთლიანად და გრძელვადიანი ვალდებულებების 15% არის დაბანდებული საბრუნავ სახსრებში.

მომდევნო საანალიზო წლებში კოეფიციენტმა საგრძნობლად დაიკლო. როგორც 2.3.5 ცხრილიდან ჩანს 2016 წელს საკუთარ საბრუნავ სახსრებში მთლიანი კაპიტალის 30% იყო დაბანდებული. 2017 წელს კოეფიციენტი კიდევ უფრო შემცირდა. საბრუნავ სახსრებში ახლა უკვე კაპიტალის 17% იყო დაბანდებული.

ბოლო საანალიზო წელს ვხედავთ რომ საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი გაიზარდა და 21%-ს გაუტოლდა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია გრძელვადიან ვალდებულებებს იყენებს საბრუნავი სახსრების დასაფინანსებლად.

ცხრილი 2.3.6

სს „თელიანი ველი“-ს საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი (2015-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018
საკუთარი კაპიტალი	11 161	40 883	89 157	98 503
სულ ვალდებულებები	15 834	15 225	15 672	19 276
საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი	0.70	2.69	5.69	5.11

საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტს თუ განვიხილავთ (იხ. ცხრილი 2.3.6) საანალიზო პერიოდის პირველ წელს სს „თელიანი ველი“-ს საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი 0.70-ის ტოლი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთარი კაპიტალი მოზიდული სახსრების 70%-ს

შეადგენდა. მომდევნო წელს საკუთარი კაპიტალის რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ 2.7-ჯერ გადააჭარბა მოზიდულ სახსრებს.

2017 წელს საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი წინა წელთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა და გაუტოლდა 5.69-ს თუმცა 2018 წელს ეს კოეფიციენტი მცირედით შემცირდა და 5.11-ს გაუტოლდა, რაც გამოწვეული იყო მოზიდული სახსრების რაოდენობის ზრდით.

ცხრილი 2.3.7

სს „თელიანი ველი“-ს გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი (2015-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018
გრძელვადიანი ვალდებულებები	10 293	7 611	5 175	6 860
გრძელვადიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	21 454	48 494	94 332	105 363
გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი	0.48	0.16	0.05	0.07

საანალიზო პერიოდში სს „თელიანი ველი“-ს გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წელს იყო და შეადგენდა 48%-ს. 2016 წლიდან კოეფიციენტი კლებას იწყებს რაც გამოწვეულია საკუთარი კაპიტალის ზრდითა და გრძელვადიანი ვალდებულებების შემცირებით.

2017 წელს საკუთარი კაპიტალის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა ხოლო გრძელვადიანი ვალდებულებები შემცირდა რამაც 5%-მდე შეამცირა გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი. უნდა აღვნიშნოთ, რომ კოეფიციენტის შემცირება დადებითი მოვლენაა. 2018 წელს კი კომპანიის

ვალდებულებების რაოდენობა მცირედით გაიზარდა რამაც კოეფიციენტის ზრდა გამოიწვია. (იხ. ცხრილი 2.3.7)

ცხრილი 2.3.8

სს „თელიანი ველი“-ს ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი

(2015-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018
მთლიანი აქტივები	26 995	56 108	104 829	117 779
მთლიანი კაპიტალი	11 161	40 883	89 157	98 503
ფინანსური ლევერეჯის კოეფიციენტი	2.42	1.37	1.18	1.20

როგორც 2.3.8 ცხრილიდან ვხედავთ 2015 წელს ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი 2.42-ს შეადგენდა რაც ნიშნავს, რომ მთლიანი აქტივები საკუთარ კაპიტალს 2.42-ჯერ აღემატებოდა. მომდევნო წელს ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი შემცირდა 1.7-მდე რაც გამოიწვია კაპიტალში განხორციელებულმა დამატებითმა შენატანებმა. უნდა აღინიშნოს რომ კოეფიციენტის კლება დადებითი მოვლენაა.

2017 წლის ბოლოს ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი ისევ შემცირდა რაც იმის მანიშნებელია, რომ კომპანიას სულ უფრო ნაკლებად სჭირდებოდა გარე დაფინანსება და შესაბამისად ნაკლები პროცენტის გადახდა უწევდა. 2018 წლის ბოლოსაც შენარჩუნდა დაახლოებით იგივე დონე, მხოლოდ მცირედით გაიზარდა კოეფიციენტი, რადგან მთლიანი კაპიტალის რაოდენობა უფრო მეტად გაიზარდა ვიდრე მთლიანი აქტივები.

2.4 მომგებიანობის, საინვესტიციო და საქმიანი აქტივობის მაჩვენებელთა ანალიზი

ყოველი საწარმოს საქმიანობის მიზანს მოგების მიღება წარმოადგენს. მეწარმეები მოგებას იყენებენ კაპიტალის გასადიდებლად, წარმოების გაფართოებისთვისა და საგადასახადო ველდებულებების შესასრულებლად. იმის გათვალისწინებით, რომ რესურსები შეზღუდული და ამოწურვადია, მომგებიანობის ასამაღლებლად მეწარმეები ცდილობენ მაღალი ეფექტურობით გამოიყენონ მათ ხელთ არსებული შეზღუდული რესურსები.

მოგება წარმოადგენს საბოლოო დადებით ფინანსურ შედეგს, რომელშიც ასახულია საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური ზოგადი მაჩვენებლები, რომელზეც გავლენას ახდენს ეკონომიკურ საქმიანობაში მომხდარი ყველა ქმედება. მოგებისა და მომგებიანობის ანალიზის მიზანია საწარმოს მომგებიანობის დონის შეფასება და მისი ამაღლების რეზერვების გამოვლენა. მოგების სიდიდე დამოკიდებულია საწარმოს მუშაობის ხარისხზე ანუ მომგებიანობაზე. იმის მიუხედავად, რომ მომგებიანობა გამოითვლება პერიოდის ბოლოს, არ უნდა ვიგულისხმოდ, რომ მოგება არის მომგებიანობის განმსაზღვრელი. მომგებიანობა არის ფაქტორი, მოგება კი შედეგი.

ფინანსური შედეგების ანალიზის ამოცანებია:²²

- მოგების პროგნოზირების სრულყოფა;
- დანახარჯების ზრდის გზების დადგენა;
- შემოსავლების ზრდის გზების გამოვლენა;
- მოგებისა და მომგებიანობის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა;
- მომგებიანობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებების შემუშავება.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის ეფექტიანობიდან გამომდინარე მომგებიანობის მაჩვენებლებს სამ ჯგუფად ჰყოფენ:

²² იხოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 277)

1. ეკონომიკური მომგობიანობის მაჩვენებლები:²³

ეს მაჩვენებლები შეიძლება გამოითვალოს აქტივების ჯამის, საოპერაციო ხარჯების, გამოყენებული კაპიტალის ბაზაზე.

ფორმულა 2.4.1

$$\text{აქტივების მომგობიანობა} = \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე} \times 100}{\text{აქტივების ჯამი}}$$

ამ მაჩვენებლით შეიძლება გავიგოთ რამდენი პროცენტი მოგების მიღება არის შესაძლებელი ყოველ ერთ ლარ აქტივზე. იგი მომგობიანობის ყველაზე ზოგადი მაჩვენებელია და მთელი ავანსირებული ღირებულების ეფექტიანობას ახასიათებს. მისი ალტერნატიული მაჩვენებელია უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე (ROCE).

ფორმულა 2.4.2

$$\begin{aligned} & \text{გამოყენებული კაპიტალის უკუგება (ROCE)} \\ & = \frac{\text{მოგება \% - ის და გადასახადის გადახდამდე}}{\text{საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები}} \end{aligned}$$

გამოყენებული კაპიტალის უკუგების მაჩვენებლის გამოსათვლელად რამდენიმე გზა არსებობს, მაგრამ ძირითადად იგი მოგების კაპიტალთან შეფარდებით გამოითვლება. იგი გვიჩვენებს მოგებისა და აღებული სესხების პროცენტების გადახდამდე გამოყენებული საერთო კაპიტალის უკუგებას. მისი ზრდა კაპიტლის გამოყენების ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებს.

ფორმულა 2.4.3

$$\text{წარმოების მომგობიანობა} = \frac{\text{საოპერაციო მოგება} \times 100}{\text{მატერიალური მარაგები} + \text{ძირითადი საშუალებები}}$$

მოცემული მაჩვენებელი იმ აქტივების ეფექტიანობას ახასიათებს, რომელთა საშუალებითაც იქმნება საწარმოს პროდუქცია. რადგან საოპერაციო მოგება დამოკიდებულია მთლიანად საწარმოს წარმოების საშუალებების გამოყენების

²³ იხოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 280)

ხარისხზე, იგი გვიჩვენებს საწარმოში გამოყენებული წარმოების საშუალებების მომგებიანობას.

2. ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები:²⁴

ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები გამოითვლება წმინდა მოგების მაჩვენებლების მიხედვით სხვადასხვა ბაზის საფუძველზე.

ფორმულა 2.4.4

$$\text{აქტივების ფინანსური რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა მოგება} \times 100}{\text{აქტივები}}$$

მოცემული კოეფიციენტი გვიჩვენებს მოგების რამდენი პროცენტი რჩება მფლობელთა საკუთრებაში აქტივებში ავანსირებული ღირებულების ყოველ ერთ ლარზე.

ფორმულა 2.4.5

$$\text{სააქციო კაპიტალის რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა მოგება} \times 100}{\text{სააქციო კაპიტალი}}$$

ეს მაჩვენებელი ძალიან მნიშვნელოვანია აქციონერებისთვის რადგან იგი გვიჩვენებს აქციონერთა პოტენციურ შემოსავალს.

ფორმულა 2.4.6

$$\begin{aligned} & \text{წმინდა აქტივების მომგებიანობა (RONA)} \\ & = \frac{\text{წმინდა მოგება}}{(\text{გრძელვადიანი აქტივები} + \text{წმინდა მიმდინარე აქტივები})} \end{aligned}$$

მოცემული კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენად კარგად იყენებს საწარმო მოგების შესაქმნელად მისი აქტივების ბაზას. რაც უფრო მაღალია წმინდა აქტივების მომგებიანობა (RONA) მით უფრო მაღალია მენეჯმენტის ხარისხი.

²⁴ იხოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 281)

3. პროდუქციის მომგებიანობის მაჩვენებლები:²⁵

ფორმულა 2.4.7

$$\text{ფინანსური მარჟა} = \frac{\text{მოგება რეალიზაციიდან} \times 100}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

მარჟა გვიჩვენებს რამდენი პროცენტი მოგების მიღება არის შესაძლებელი ყოველ ერთ ლარ შემოსავალზე და ასახავს საქონლის ბირჟაზე საწარმოს მდგომარეობას. იგი განხორციელებული სამეურნეო ოპერაციის ეფექტიანობის ყველაზე შესაფერისი მაჩვენებელია.

ფორმულა 2.4.8

$$\text{ფასნამატი} = \frac{\text{საოპერაციო მოგება} \times 100}{\text{რეალიზებული პროდუქციის სრული თვითღირებულება}}$$

ფასნამატი გვიჩვენებს ყოველ ერთ ლარ დანახარჯზე რამდენი პროცენტი მოგების მიღება არის შესაძლებელი. იგი ყოველთვის მარჯაზე მეტია.

მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორებია:²⁶

- შემოსავლების მომგებიანობა;
- რეალიზებული პროდუქციის ხარისხი და გასაყიდი ფასები;
- მატერიალური დანახარჯების გამოყენების ეფექტიანობა;
- შრომითი დანახარჯების გამოყენების ეფექტიანობა;
- ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობა;
- მმართველობითი და ფინანსური ხარჯების ეფექტიანობა;
- საწარმოს მართვის მოქნილობა და ეფექტიანობა.

²⁵ იხოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 282)

²⁶ იხოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 287)

სს „თელიანი ველი“-ს მომგებიანობის მაჩვენებლები

ცხრილი 2.4.1

სს „თელიანი ველი“-ს საერთო მოგება

(2017-2018 წწ.) (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2017	2018
საქონლის რეალიზაცია	19,735	24 626
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(10,161)	(15 467)
საერთო მოგება	9,574	9 159

2018 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა საერთო მოგება 5%-ით. მიუხედავად იმისა, რომ საქონლის რეალიზაცია გაიზარდა ასევე მკვეთრად გაიზარდა საქონლის თვითღირებულებაც, რამაც გამოიწვია საერთო მოგების შემცირება.

ცხრილი 2.4.2

სს „თელიანი ველი“-ს საოპერაციო მოგება

(2017-2018 წწ.) (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2017	2018
საერთო მოგება	9 574	9 159
საოპერაციო ხარჯები	(4 163)	(4 323)
საოპერაციო მოგება	5 411	4 836

როგორც ზემოთ ვნახეთ კომპანიის საერთო მოგება შემცირდა, ახლა კი ვხედავთ რომ საოპერაციო ხარჯები გაიზარდა. ამ ყველაფერმა გამოიწვია საოპერაციო მოგების შემცირება წინა წელთან შედარებით 11%-ით.

სს „თელიანი ველი“-ს მოგება დაბეგვრამდე 2017 წელს იყო 5 943ლ. ხოლო 2018 წელს 3 777ლ. როგორც ვხედავთ დასაბეგრი მოგება საგრძნობლად არის შემცირებული წინა წელთან შედარებით. წმინდა და გაუნაწილებელი მოგება 2017 და 2018 წლებში ტოლი იყო დასაბეგრი მოგების რადგან ადგილი არ ჰქონია მოგების გადასახადიდან სარგებელს. ასევე კომპანიაში არ გამოცხადებულა დივიდენდები და არ შექმნილა რეზერვები.

ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები:

როგორც 2.4.3 ცხრილიდან ვხედავთ 2017 წელს სს „თელიანი ველი“-ს აქტივების მომგებიანობა, ანუ მოგება ერთი ლარის შესაბამის აქტივზე შეადგენდა ექვს თეთრს. 2018 წელს ამ მაჩვენებელმა დაიკლო. ამ წლის მონაცემებით აქტივების მომგებიანობა 3 თეთრს შეადგენდა. აქტივების ღირებულების შემცირება გამოწვეული იყო მოგების კლებით.

ცხრილი 2.4.3

სს „თელიანი ველი“-ს აქტივების მომგებიანობა

(2017-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2017	2018
დასაბეგრი მოგება	5 943	3 777
მთლიანი აქტივები	104 829	117 779
აქტივების მომგებიანობა	0.06	0.03

გამოყენებული კაპიტალის უკუგება:

2017 წლის მდგომარეობით

$$\text{გამოყენებული კაპიტალის უკუგება (ROCE)} = \frac{5\,943}{89\,157 + 5\,175} = 0.06$$

2017 წლის მდგომარეობით გამოყენებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი, ანუ საკუთარი კაპიტალითა და გრძელვადიანი ვალდებულებების ერთი ლარით შეძენილი რესურსების მომგებიანობა ექვსს გაუტოლდა.

2018 წლის მდგომარეობით

$$\text{გამოყენებული კაპიტალის უკუგება (ROCE)} = \frac{3\,777}{98\,503 + 6\,860} = 0.04$$

2018 წელს გამოყენებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი შემცირდა. საკუთარი კაპიტალითა და გრძელვადიანი ვალდებულებების ერთი ლარით შეძენილი რესურსების მომგებიანობა ოთხს გაუტოლდა.

წარმოების მომგებიანობა:

2017 წლის მდგომარეობით

$$\text{წარმოების მომგებიანობა} = \frac{5\,411}{8\,682 + 6\,790} = 0.35$$

2017 წლის ბოლოს წარმოების მომგებიანობა, ანუ ყველა იმ აქტივის მომგებიანობა, რომელიც მზა პროდუქციის შესაქმნელად გამოიყენება შეადგენდა 35 თეთრს.

2018 წლის მდგომარეობით

$$\text{წარმოების მომგებიანობა} = \frac{4\,836}{12\,237 + 6\,790} = 0.25$$

2018 წლის მდგომარეობით წარმოების მომგებიანობის მაჩვენებელი შემცირდა, რაც გამოწვეული იყო ძირითადი საშუალებების კლებითა და მარაგების მკვეთრი

რაოდენობის ზრდით. აქტივების მომგებიანობა, რომელიც მზა პროდუქციის შესაქმნელად გამოიყენება შეადგენდა 25 თეთრს.

ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებლები:

აქტივების ფინანსური რენტაბელობა (ROA)

2017 წლის მდგომარეობით:

$$\text{აქტივების ფინანსური რენტაბელობა (ROA)} = \frac{5\,943}{104\,829} = 0.057$$

2017 წლის ბოლოს აქტივების ფინანსური რენტაბელობის კოეფიციენტი, ანუ აქტივებში ავანსირებულ ყოველ ერთ ლარზე მიღებული მოგება შეადგენდა 0.057 ლარს.

2018 წლის მდგომარეობით

$$\text{აქტივების ფინანსური რენტაბელობა (ROA)} = \frac{5\,118}{117\,779} = 0.043$$

2018 წელს წინა წელთან შედარებით სს „თელიანი ველი“-ს აქტივების ფინანსური რენტაბელობის კოეფიციენტი შემცირდა. აქტივებში ავანსირებულ ყოველ ერთ ლარზე მიღებული მოგება შეადგენდა 0.043 ლარს. ეს შედეგი გამოწვეული იყო წმინდა მოგების შემცირებითა და აქტივების ზრდით.

სააქციო კაპიტალის რენტაბელობა

2017 წლის მდგომარეობით

$$\text{სააქციო კაპიტალის რენტაბელობა} = \frac{5\,943}{520\,000\,000} \times 100 = 0.001143$$

2018 წლის მდგომარეობით

$$\text{სააქციო კაპიტალის რენტაბელობა} = \frac{5\,118}{620\,000\,000} \times 100 = 0.000825$$

2018 წელს წინა წელთან შედარებით სს „თელიანი ველი“-ს ერთ აქციაზე მიღებული შემოსავალი შემცირდა, რაც გამოწვეული იყო წმინდა მოგების კლებითა და სააქციო კაპიტალის ზრდით.

პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლები:

მოგების მარჟა:

2017 წლის მდგომარეობით

$$\text{მარჟა} = \frac{9\ 827}{19\ 710} = 0.50$$

2018 წლის მდგომარეობით

$$\text{მარჟა} = \frac{9\ 851}{24\ 626} = 0.40$$

2017 წელს მოგების მარჟა შეადგენდა 50%-ს, რაც გულისმობს იმას, რომ რეალიზაციის 50% იყო მოგება. რაც შეეხება 2018 წელს, ვხედავთ რომ მოგების მარჟამ დაიკლო და გახდა 40%, ანუ მოგების წილი მთლიან რეალიზაციაში შემცირდა, რაც უარყოფითი მოვლენაა.

ფასნამატი:

2017 წლის მდგომარეობით

$$\text{ფასნამატი} = \frac{19\ 988}{10\ 161} = 96\%$$

2018 წლის მდგომარეობით

$$\text{ფასნამატი} = \frac{25\ 318}{15\ 467} = 64\%$$

2017 წლის შემდეგ 2018 წლის ბოლომდე ფასნამატმა სს „თელიანი ველი“-ს ყველა ტიპის პროდუქციაზე დაიკლო.

საწარმოს საქმიანი აქტივობის ქვეში იგულისხმება საწარმოში არსებულ რესურსებში ავანსირებული სახსრების გამოყენების ტემპის სიჩქარე. ბიზნესის ეფექტურად წარმართვისთვისა და უწყვეტი პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელია გარკვეული სახის მარაგების, მზა პროდუქციისა და ანგარიშზე საჭირო ფულადი თანხების არსებობა. თუმცა მენეჯმენტმა უნდა აკონტროლოს დასაშვებ დროზე მეტ ხანს ხომ არ ინახება პროდუქცია საწყობში ან ფულადი თანხები ხომ არ არის ანგარიშზე უძრავად.

საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზი შეიძლება შემდეგი მიმართულებებით წარიმართოს:²⁷

1. რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, აქტივების და კაპიტალის ბრუნვალობა
2. მოგების, შემოსავლებისა და ავანსირებული კაპიტალის ტიპების თანაფარდობა.

საწარმოს საქმიანი აქტიურობა ხასიათდება რეალიზაციის ზრდის ტემპით, მოგების ზრდის ტემპით, მზა პროდუქციისა და რეალიზაციის ხელსაყრელი კონტრაქტების არსებობით. მოგების ზრდის ტემპი რეალიზაციიდან ამონაგების ზრდის ტემპს უნდა უსწრებდეს, ხოლო ეს უკანასკნელი კი აქტივების ზრდის ტემპს უნდა უსწრებდეს, რაც აქტივების გამოყენების ეფექტიანობის ზრდზე მიუთითებს.

საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზის ამოცანებია:²⁸

- ავანსირებული ღირებულების ბრუნვალობის შესწავლა
- ფულადი ნაკადების სტაბილურობის დადგენა
- ინფორმაციის მომზადება ფინანსური ანგარიშგების პროგნოზირებისათვის
- ბრუნვალობის დაჩქარებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ძირითადი მაჩვენებლებია საბრუნავი კაპიტალის ანუ მიმდინარე აქტივების ბრუნვალობის მაჩვენებლები: ესენია ავანსირებული ღირებულების საერთო კერძო და ფულის ბრუნვის მაჩვენებლები.

²⁷ იხოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 258)

²⁸ იხოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 259)

საწარმოს აქტიურობის ანალიზისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შემდეგი კოეფიციენტები:

- ✓ საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
- ✓ მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
- ✓ დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
- ✓ დებიტორული დავალიანებების ამოღების კოეფიციენტი;
- ✓ კრედიტორული დავალიანებების დაფარვის კოეფიციენტი;
- ✓ საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობის კოეფიციენტი;
- ✓ საფინანსო ციკლის ხანგრძლივობის კოეფიციენტი;
- ✓ ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტი.

საბრუნავი საშუალებების ანალიზის პროცესში აუცილებელია მათი ბრუნვადობის ანალიზი, რაც გულისხმობს მთელი საბრუნავი საშუალებების, მარაგებისა და დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის მაჩვენებელთა გაანგარიშებას და მიღებული მაჩვენებლების საფუძველზე სათანადო დასკვნების გაკეთებას.

ფორმულა 2.5.1²⁹

$$\text{საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{საბრუნავ საშუალებათა სიდიდე}}$$

მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტით გამოიყენება მარაგების ბრუნვადობის ანალიზისათვის.

ფორმულა 2.5.2³⁰

$$\text{მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი} = \frac{\text{რეალიზებული საქონლის თვითღირებულება}}{\text{საშუალო მარაგი}}$$

²⁹ ანა ჩეჩელაშვილი, *ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები* (თბილისი 2013, 93)

³⁰ ანა ჩეჩელაშვილი, *ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები* (თბილისი 2013, 93)

საბრუნავ საშუალებათა საერთო ოდენობაში დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა დებიტორული დავალიანებები, ამიტომ მათი აბსოლუტური სიდიდის და სტრუქტურის ანალიზი უნდა შეივსოს დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის მაჩვენებლებისა და დავალიანებების ამოღების მაჩვენებლების ანალიზით.

ფორმულა 2.5.3³¹

$$\text{დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{დებიტორული დავალიანებების საშუალო სიდიდე}}$$

დებიტორული დავალიანების ამოღების კოეფიციენტი მიუთითებს იმაზე, თუ კრედიტით გაყიდვები როგორი ხანგრძლივობით ხასიათდება. საწარმოები საქონლის კრედიტით გაყიდვისას უთითებენ კრედიტის პერიოდს. ანგარიშ-ფაქტურების დაგვიანებით გაგზავნამ ან გადამხდელეებზე რეაგირების დაგვიანებით მოხდენამ შეიძლება ცუდი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაში ნაღდი ფულის მოძრაობაზე.

ფორმულა 2.5.4³²

$$\text{დებიტორული დავალიანების ამოღების კოეფიციენტი} = \frac{\text{დებიტორული დავალიანების ნაშთი} \times 365}{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}$$

სასაქონლო-მატრეიალური ფასეულობების ანალიზისას აუცილებელია კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის შესწავლა. კრედიტით შეძენამ, რომელსაც საკრედიტო პერიოდის გახანგრძლივება ახლავს თან, შეიძლება საწარმო უარყოფითი შედეგებამდე მიიყვანოს. შეიძლება მომწოდებლებისგან მომავალში საქონლის მიღება საექვო გახდეს ან საწარმომ ვერ მიიღოს ფასდათმობ.

³¹ ანა ჩეჩელაშვილი, *ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები* (თბილისი 2013, 94)

³² იზოლდა ჭილაძე, *ფინანსური ანალიზი* (თბილისი 2018, 210)

$$\begin{aligned} & \text{კრედიტორული დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი} \\ & = \frac{\text{კრედიტორული დავალიანების ნაშთი} \times 365}{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}} \end{aligned}$$

სამუშაო კაპიტალის საოპერაციო ციკლი ასახავს საწარმოს ინვესტიციას სამუშაო კაპიტალში წარმოების პროცესის განმავლობაში. სამუშაო კაპიტალში ინვესტიცია ეტაპობრივად იზრდება. თავიდან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალებში განხორციელებული ინვესტიციის სახით, შემდეგ სამუშაო ძალასა და საწარმოო ზედნადებ ხარჯებში. რაც უფრო სწრაფია საწარმოო ციკლი, მით უფრო ნაკლები იქნება მისი ინვესტიცია სამუშაო კაპიტალში.

$$\begin{aligned} & \text{საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა} \\ & = \text{მარაგების ბრუნვადობა დღეებში} \\ & + \text{დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი} \\ & - \text{კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი} \end{aligned}$$

ასევე მნიშვნელოვანი კოეფიციენტია საფინანსო ციკლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი. საფინანსო ციკლი, იგივე ფულად საშუალებათა მიმოქცევის ციკლი წარმოადგენს დროს, რომლის განმავლობაშიც ბრუნვიდან არის ამოღებული ფულადი საშუალებები. ფინანსური და საოპერაციო ციკლების შემცირება დადებით ტენდენციად განიხილება დინამიკაში.

$$\begin{aligned} & \text{საფინანსო ციკლის ხანგრძლივობა} \\ & = \text{საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა} \\ & + \frac{\text{საშუალო კრედიტორული დავალიანება} \times 360}{\text{რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება}} \end{aligned}$$

³³ ანა ჩეჩელაშვილი, *ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები* ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში (თბილისი 2013, 95)

³⁴ ანა ჩეჩელაშვილი, *ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები* ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში (თბილისი 2013, 95)

³⁵ ანა ჩეჩელაშვილი, *ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები* ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში (თბილისი 2013, 96)

ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მაჩვენებელია ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტი რომელიც შემდგენაირად განისაზღვრება:

ფორმულა 2.5.8³⁶

$$\text{ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტი} = \frac{\text{წმინდა მოგება} - \text{გადახდილი დივიდენდები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

სს „თელიანი ველის საქმიანი აქტივობის შეფასების კოეფიციენტები

ცხრილი 2.5.1

სს „თელიანი ველი“-ს საბრუნავი საშუალებების ბრუნვალობის კოეფიციენტი

(2017-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2017	2018
საქონლის რეალიზაცია	19710	24625
საბრუნავი საშუალებები	15376	20204
საბრუნავი საშუალებების ბრუნვალობის კოეფიციენტი	1.28	1.22

2017 წელს საბრუნავი სახსრების ბრუნვის კოეფიციენტმა შეადგინა 1.28 რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. 2018 წლის მდგომარეობით ეს კოეფიციენტი შემცირდა და გაუტოლდა 1.22-ს რაც გულისხმობს, რომ საბრუნავი საშუალებები წინა წელთან შედარებით უფრო ნაკლები რაოდენობით ჩაეშვა რეალიზაციაში.

³⁶ ანა ჩეჩელაშვილი, *ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში* (თბილისი 2013, 96)

ცხრილი 2.5.2

სს „თელიანი ველი“-ს მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი და ბრუნვის რიცხვი

(2017-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2017	2018
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10 161	15 467
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	8 682	12 237
მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი	1.17	1.26
მარაგების ბრუნვის რიცხვი	311	290

სს „თელიანი ველი“-ს 2017 წლის მონაცემებით მატერიალური მარაგები ამ წელს 1.17-ჯერ დატრიალდა წარმოებაში. რაც შეეხება 2018 წელს ეს რიცხვი მცირედით გაიზარდა და გახდა 1.26 რაც იმაზე მიანიშნებს, რომ გაიზარდა მარაგების ბრუნვის სიჩქარე.

2017 წლის ბოლოს მარაგების ბრუნვადობა დღეებში იყო 311 ხოლო 2018 წელს შემცირდა და გახდა 290. ამ მაჩვენებლის შემცირება დადებითი მოვლენაა, რადგან მიუთითებს იმაზე, რომ მარაგები უფრო სწრაფად რეალიზდება. (იხ. ცხრილი 2.5.2)

ცხრილი 2.5.3

სს „თელიანი ველი“-ს დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის კოეფიციენტი

ამოღების პერიოდი

(2017-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2017	2018
ამონაგები რეალიზაციიდან	19 710	24 625
დებიტორული დავალიანებები	8 151	12 803

დებიტორული დავალიანებების ამოღების რიცხვი	2.42	1.92
დებიტორული დავალიანებების ამოღების პერიოდი(2/1*365)	150	190

როგორც 2.5.3 ცხრილიდან ვხედავთ 2017 წლის ბოლოს სს „თელიანი ველი“-ს დებიტორული დავალიანებების ამოღებას სჭირდებოდა 150 დღე. 2018 წელს ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაუტოლდა 190-ს რაც უარყოფითი მაჩვენებელია.

ცხრილი 2.5.4

სს „თელიანი ველი“-ს კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი (2017-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2017	2018
კრედიტორული დავალიანებები	2 098	3 675
ამონაგები რეალიზაციიდან	19 710	24 625
კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი	38.85	54.47

2017 წელს სს „თელიანი ველი“-ს კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი იყო 38 დღე. 2018 წლის ბოლოს დაფარვის პერიოდი გაიზარდა და გაუტოლდა 54 დღეს რაც უარყოფითი მაჩვენებელია. (იხ. ცხრილი 2.5.4)

2017 წელს სს „თელიანი ველი“-ს საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა იყო 422 დღე, ხოლო მომდევნო წელს ეს რიცხვი უმნიშვნელოდ გაიზარდა და გაუტოლდა 426-ს. როგორც უკვე აღვნიშნეთ საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობის ზრდა უარყოფითი მოვლენაა. (იხ. ცხრილი 2.5.5)

ცხრილი 2.5.5

სს „თელინი ველი“-ს საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა დღეებში

(2017-2018 წწ.)

მაჩვენებლები	2017	2018
მარაგების ბრუნვა დღეებში	311	290
დებიტორული დავალიანებების ამოღების პერიოდი	150	190
კრედიტორული დავალიანებების ამოღების პერიოდი	(39)	(54)
საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა	422	426

დასკვნა

საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესში განხილულ იქნა ღვინის მწარმოებელი სააქციო საზოგადოება „თელიანი ველი“-ს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები. ამისათვის გამოყენებულ იქნა სს „თელიანი ველი“-ს 2017-2018 წლების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ჩატარდა საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის, ფინანსური სტაბილურობის, მომგებიანობის, საინვესტიციო და საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებელთა ანალიზი. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა ძირითადი მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციები, გამოვლინდა ამ ცვლილებების გამომწვევი ფაქტორები და გაკეთდა შესაბამისი დასკვნები.

პირველ ეტაპზე შეფასდა სს „თელიანი ველი“-ს ქონებრივი მდგომარეობა, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზის საფუძველზე. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2017-2018 წლებში სააქციო საზოგადოება „თელიანი ველი“-ს ქონებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდა, ასევე ქონების ზრდის ტემპიც ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2018 წელს კომპანიის ქონების ზრდაზე გავლენა იქონია აქტივების ზრდამ რაც გამოწვეული იყო საბრუნავი საშუალებების ზრდით. საბრუნავი საშუალებების ზრდაზე კი გავლენა იქონია მარაგებისა და დებიტორული დავალიანებების ზრდამ. ასევე ჩატარდა ფონდტევადობის და ფონდუკუგების ანალიზი. მიღებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპანიის საწარმოო პოტენციალი გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება.

მომდევნო ეტაპზე ჩატარდა სს „თელიანი ველი“-ს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტური ანალიზი. საერთო, სწრაფი და აბსოლუტური ლიკვიდურობის მაჩვენებლების შედეგად დადგინდა, რომ საანალიზო წელს საწარმოს შესწევდა უნარი დაეფარა ყველა მიმდინარე ვალდებულება და ამასთანავე დარჩენოდა რესურსები ფუნქციონირებისთვის.

სს „თელიანი ველი“-ს ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საანალიზო პერიოდში ოთხივე წელს კომპანიის ფინანსური

მდგომარეობა აბსოლუტურად მდგრადი იყო, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ბოლო საანალიზო წელს კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებები მცირედით გაიზარდა წინა წლებთან შედარებით, თიმცა კაპიტალის ზრდამ და ნასესხები სახსრების შემცირებამ კომპანია სულ უფრო მეტად გახადა ფინანსურად დამოუკიდებელი.

სს „თელიანი ველის“-ს მომგებიანობის მაჩვენებლების შეფასებისას დადგინდა, რომ ბოლო საანალიზო წელს წინა წელთან შედარებით საერთო მოგება შემცირდა 5%-ით. მიუხედავად იმისა, რომ საქონლის რეალიზაცია გაიზარდა, მკვეთრად გაიზარდა ადმინისტრაციული ხარჯები, ასევე მარაგების რაოდენობა. შემცირდა რეალიზებული საქონლის ფასნამატი, რამაც გამოიწვია საერთო მოგების შემცირება. საოპერაციო ხარჯების ზრდამ გავლენა იქონია საოპერაციო მოგების შემცირებაზე. მოგების კლებამ გამოიწვია აქტივების ღირებულების კლებაც, რაც უარყოფითი მოვლენაა.

სს „თელიანი ველი“-ს საქმიანი აქტივობის მაჩვენებლების შეფასებისას ცალსახად უარყოფითი შედეგი მივიღეთ. 2018 წელს შემცირდა საბრუნავი საშუალებების კოეფიციენტი რაც არასასურველი მოვლენაა. მცირედით შემცირდა მარაგების ბრუნვის რიცხვი. გაიზარდა დებიტორული დავალიანებების ბრუნვის კოეფიციენტი. ასევე გაიზარდა საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა. ეს უკანასკნელიც არასასურველი მივლენაა. საქმიანი აქტივობის შეფასების შედეგად ვაკვნიტ, რომ კომპანია თავის საქმიანობას კარგად ვერ ართმევს თავს.

სააქციო საზოგადოება „თელიანი ველი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების კვლევის შედეგად გამოვლინდა კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები. კვლევის ავტორი გასცემს რეკომენდაციებს სუსტი მხარეების გაუმჯობესების მიზნით. კომპანიის ფინანსური კრიზისის დაძლევისა და მომგებიანობის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილია გაყიდვების ოპტიმიზაცია მომხმარებლებისთვის ფასდათმობის შეთავაზებით. როგორც ვნახეთ წარმოების მომგებიანობის კლება გამოწვეული იყო ადმინისტრაციული ხარჯების მკვეთრი ზრდით ამიტომ მიზანშეწონილია მათი მინიმუმადე შემცირება. საწარმოს მომგებიანობის ამაღლება მნიშვნელოვანია, რათა კაპიტალში დამატებითი შენატანების განხორციელება აღარ გახდეს საჭირო.

ასევე მნიშვნელოვანია დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის დაჩქარების უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს ფულადი ნაკადების შემოდინებას. დებიტორული დავალიანებების ამოღების მიზნით შეილება გამოყენებულ იქნას ფაქტორინგი, რომელიც გულისხმობს ბანკისათვის ან ფაქტორინგული კომპანიისთვის დებიტორული დავალიანებების ამოღების უფლების გადაცემას. კრედიტორული დავალიანებები სწრაფად იქნას დაფარული.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბარბაქაძე, ხათუნა. 2015. *ფინანსური მენეჯმენტი. ლექციების კურსი*. თბილისი.
- ლიპარტია, ზურაბ, ნ. გვარამია, ე. ლანჩავა. 2007. *ეკონომიკური ანალიზი, მეორე ნაწილი - ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმი*. თბილისი: უნივერსალი.
- ლიპარტია, ზურაბ. 2018. *ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები*. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- საბაური ლევან, ნადეჟდა კვატაშიძე, ნანა სრესელი. 2017. *ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სრულყოფის გზები მცირე სა საშუალო ბიზნესის საწარმოებში*. თბილისი.
- ტყეშელაშვილი გ, თ. კილაძე, თ. კიწმარიშვილი, ტ. ქოქოლაძე. 2018. *ეკონომიკური ანალიზი*. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.
- შუბლაძე, გიორგი. ბაბულია მღებრიშვილი, ფიქრია წოწკოლაური. 2008. *მენეჯმენტის საფუძვლები*. თბილისი: უნივერსალი.
- ჩეჩელაშვილი, ანა. 2014. *ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მისი სრულყოფის გზები ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში*. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი: მერიდიანი.
- ჭილაძე, იზოლდა. 2011. *ფინანსური ანალიზი. მესამე გადამუშავებული გამოცემა*. თბილისი: მერანი
- ჭილაძე, იზოლდა. 2015. *საწარმოს საოპერაციო ლევერიჯის ანალიზის სრულყოფა. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი*.
- ხარაბაძე, ელენე. 2009. *ფინანსური აღრიცხვა*. თბილისი: უნივერსალი
- ჯიქია, მერაბ. რ. ჩეჩელაშვილი, ფ. ბურდული. 2010. *ეკონომიკური ანალიზი*. თბილისი: მერიდიანი.
- F9 - *ფინანსური მართვა*. სახელმძღვანელო. ACCA

Fabozzi J. Frank, Pamela P. Peterson. *Financial management and analysis* – second edition

Lessambo I Felix. *Financial Statements, annalysis and reporting*.

Samonas, Michael. *Financial forecasting, analysis and modeling*.

Vance E. David. 2003. *Financial analysis and decision making – Tools and techniques to solve financial problems and make effective business decisions*.

Wahlen M. James, Baginski P. Stephen, Bradshaw T. Mark. *Financial reporting, financial statement analysis and valuation*.

სს „თელიანი ველი“-ის ფინანსური ანგარიშგება:

<https://reportal.ge/BannersMenu/Detailed-search-for-reports.aspx> (10.05.20)

„თელიანი ველი“- ღვინის წარმოების საუკუნოვანი ტრადიცია:

https://allwine.ge/ka/blog/teliani-veli_0/ (25.06.20)

კომპანიის ფინანსური ანალიზის მაჩვენებლები:

<https://www.geoforex.info/safondo-birja/1442-kompaniis-finansuri-analizi-macveneblebi>

(12.05.20)

დანართი 1.

სს „თელიანი ველი“-ს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 2017-2018 წლების მდგომარეობით (ათასი ლარი)

ბალანსი	2016 წ	2017 წ	2018 წ
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6 772	6 571	6 790
არამატერიალური აქტივები	187	171	303
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	29 032	72 165	77 734
გაცემული სესხები	-	-	332
გადახდილი ავანსები	99	49	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	36 090	78 956	85 159
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5 555	8 682	12 237
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	6 181	8 151	12 803
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	354	-	-
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	173	312	203
გაცემული სესხები	2 586	1 108	1 422
მოთხოვნა საკრედიტო დაწესებულების მიმართ	-	-	146
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	3 296	4 381	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1 873	3 239	5 809
სულ მიმდინარე აქტივები	20 018	25 873	32 620
სულ აქტივები	56 108	104 829	117 779
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2 771	5 200	5 525
საემისიო კაპიტალი	38 846	78 748	83 992
გაუნაწილებელი მოგება	(734)	5 209	8 986

სულ საკუთარი კაპიტალი	40 883	89 157	98 503
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტული სესხები და გადასახდელი ანგარიშები	7 611	5 175	6 860
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	7 611	5 175	6 860
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სვა კრედიტორული დავალიანება	1 905	2 098	3 675
მოგების გადასახადის დავალიანება	685	-	-
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	-	288	146
პროცენტული სესხები და გადასახდელი ანგარიშები	4 657	7 813	7 550
სახელშეკრუბო ვალდებულებები	142	95	194
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	225	203	851
სულ მიმდინარე ვალდებულებები	7 614	10 497	12 416
სულ ვალდებულებები	15 225	15 672	19 276
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	56 108	104 829	117 779

დანართი 2.

სს „თელიანი ველი“-ს სრული შემოსავლების ინდივიდუალური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათასი ლარი)

მოგება/ზარალი	2017 წ	2018 წ
შემოსავალი და შემოსულობები	19 988	25 318
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(10 161)	(15 467)
საერთო მოგება	9 827	9 851
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(1 172)	(1 119)
ადმინისტრაციული ხარჯები	(2 749)	(3 359)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(242)	(255)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი	5 664	5 118
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(997)	(1 044)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	524	232
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა (ზარალი)/შემოსავალი	752	(2)
ხელმძღვანელობის შეცვლის დანახარჯები	-	(527)
დასაბეგრი მოგება	5 943	3 777
მოგების გადასახადი	-	-
წლის მოგება	5 943	3 777
სხვა სრული შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	5 943	3 777

დანართი 3.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Economics and Business

Mariam Gamgebeli

Module: Accounting and Audit

Issues of the financial condition analysis on the example of JSC "Teliani
Valley"

The research was done to obtain the academic degree of Master of Business
Administration

Scientific adviser: Nana Sreseli

TSU Associate Professor

Tbilisi 2020